

მოაზროვნის სახელმძღვანელო



სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE



მოაზროვნის სახელმძღვანელო

მთარგმნელი: თამარ ჯანაშია

თბილისი 2013

რედაქტორები: **ია ანთაძე, თამარ მოსიაშვილი**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე წიქარიშვილი**

საკონსულტაციო ჯგუფი:

ანთაძე ია
გორგოძე სოფიო
მოსიაშვილი თამარ
სიმონ ჯანაშია

დაიბეჭდა გამომცემლობა მნიგნობარი
თბილისი, 2013

© **სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013**

ISBN 978-9941-0-5317-7

წერილი მკითხველს

გაუთვითცნობიერებელი ადამიანები შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას სწირად აზროვნების დაპირისპირებულ ფორმებად აღიქვამენ. მათი აზრით, ერთი ირაციონალურ ან ქვეცნობიერ ძალებს ეყრდნობა, მეორე კი რაციონალურ და შეგნებულ პროცესებს. შემოქმედებითი აზროვნების მართვა, მისი სწავლა შეუძლებელია, ხოლო კრიტიკული აზროვნებისთვის მიმართულების მიცემა და მისი სწავლება რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს. ამ შეხედულებაში არის სიმართლის მარცვალი. სიმართლე კი ისაა, რომ შემოქმედებითი გენიოსების შექმნის ან მოსწავლეებისთვის ახალი, ინოვაციური იდეების გენერირების სწავლების ცნობილი გზა არ არსებობს. ჩვენ ვხვდებით შემოქმედებითობის ისეთ გამოვლინებებს, რომლებიც ბოლომდე არ გვესმის. იგივე ეხება კრიტიკული აზროვნების ფორმებსაც. მაგრამ არსებობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ერთდროული სწავლების საშუალებები. ამისთვის მათი ძირითადი მნიშვნელობის გონებაში ჩაბეჭდვა, მათი ურთიერმიმართებისა და მსგავსების შესწავლაა საჭირო. როდესაც კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას ღრმად გავიაზრებთ, მიხვდებით მათ ერთიანობას. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება ერთმანეთისგან განუყოფელი, ერთმანეთთან ინტეგრირებული და ერთიანია.

ჩვენი აზრით, საჭიროა დედამიწაზე დავეშვათ და შემოქმედებითი აზროვნების დემისტიფიკაცია მოვახდინოთ. ამ სახელმძღვანელოში შემოქმედებით აზროვნებას განვიხილავთ როგორც გენიოსების, ასევე, ყველაზე მოკრძალებული გამოხატვის ფორმების (ყოველდღიური აღქმა და აზროვნება) კონტექსტში.

როდესაც ახალ კონცეფციებს ვეცნობით, ჩვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით დასკვნები გამოგვაქვს, ახალ საგანს ან ენას ვსწავლობთ, ვკითხულობთ, ვნერთ, ვსაუბრობთ და ვისმენთ, ჩვენი გონება სრულფასოვან შემოქმედებით ქმედებებში ერთვება. ამგვარი ქმედებების გასაგებად არ გვჭირდება ეზოთერულ, ბრძნულ ან იდუმალებით მოცულ სფეროებთან კავშირი.

იმისთვის, რომ შედეგიანად ვიცხოვროთ, ჩვენი აზროვნების (კრიტიკული ანალიზის) ინტელექტუალური სტანდარტების გათავისება და გამოყენება გვჭირდება. ჩონების შემოქმედებითობის საშუალებით უნდა შევქმნათ პროდუქტები, რომლებსაც მოგვიანებით შევაფასებთ. ის, რომ გონება მნიშვნელოვან პროდუქტებს ქმნის, სრულიად ცხადია. მაგრამ ნათელი არაა, არის თუ არა გონების პროდუქტი სასარგებლო. წარმოსახვა და მსჯელობა ერთმანეთისგან განუყოფელია. წარმოსახვა და მსჯელობა ეფექტურია მაშინ, როდესაც მათი ქმედება ჰგავს სიარულისა და სირბილის დროს ერთად მოქმედი მარჯვენა და მარცხენა ფეხის მოძრაობას. თუ მხოლოდ ერთ მათგანს ცალკე შევისწავლით, მაშინ ორივე საიდუმლოებით მოცული და დამაბნეველი გახდება, ან სტერეოტიპისა და კარიკატურის ფორმას შეიძენს.

*რიჩარდ პოლი
კრიტიკული აზროვნების ცენტრი*

*ლინდა ელდერი
კრიტიკული აზროვნების ფონდი*

შინაარსი

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ბუნება და ფუნქციები

ნაწილი 1: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების იდეა

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განუყოფელობა

კრიტიკულობა აფასებს, შემოქმედებითობა წარმოშობს..... 7-13

აზროვნება, რომელიც საგნების ლოგიკას სწვდება

ყველანაირი აზრი მოიცავს მნიშვნელობების სისტემას. აზროვნებამ უნდა მოახდინოს იმის შეფასება, რასაც ის ქმნის. 13-14

მსჯელობა, როგორც შემოქმედებითი აქტი

ნებისმიერი რამის გააზრების ჩვეულებრივი აქტი ახლის შექმნაა, შემოქმედებითი აქტების ახალი სერია 14-15

კრეატიული გენიოსი — გამონაკლისი?

ისტორია გვასწავლის, რომ დიდ მოაზროვნეებს იდეების დამუშავება და თავდადებული ინტელექტუალური შრომა სჭირდებათ 16

ენა, როგორც გზამკვლევი

გენიოსებს ნიჭის, დამოკიდებულების, შესაძლებლობებისა და ქუყის ასპექტში უკეთ აღიქვამენ 16-18

გონებაშეზღუდული გენიოსი

გენიოსი ხშირად რომელიმე ვინაო კონკრეტულ ინტელექტუალურ სფეროშია სპეციალიზებული და მის ფარგლებში მოქმედებს 18-20

დამოკიდებულება თანდაყოლილ ნიჭს, გარემოსა და თვითმოტივაციას შორის

არისტოტელე, ბეთჰოვენი, კიური, და ვინჩი, გალილეო, მიქელანჯელო 20-26

ნიუტონის, დარვინისა და აინშტაინის კრიტიკული გონება

ნიუტონი, დარვინი და აინშტაინი გენიოსის განვითარებისთვის საჭირო კრიტიკული დამოკიდებულებისა და თავდადების მნიშვნელობის მაგალითს წარმოადგენენ..... 26-29

შემოქმედებითობა მისტიფიკაციის გარეშე

შემოქმედებითობის აღქმა ყველაზე უფრო ადვილი, მარტივი - ყოველდღიური აზრების კონტექსტშია 29-30

აზროვნების ელემენტები

აზროვნების გაგება და მისი შეფასება ყველაზე უფრო უკეთ მისი ელემენტების იდენტიფიცირებისა და ანალიზის შემთხვევაშია შესაძლებელი

..... 30-33

ინტელექტუალური სტანდარტები

აზროვნების ეფექტურად შეფასება მხოლოდ ინტელექტუალური სტანდარტების შექმნისა და გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი..... 33-36

კრიტიკული აზროვნების გამოყენება ხელოვნებაში

შემოქმედებითი პროდუქცია კრიტიკულად უნდა შეფასდეს 36-41

ნაწილი 2: კრიტიკული/შემოქმედებითი აზროვნება და მნიშვნელობების საფუძვლები

საგნების ლოგიკის გარკვევა

კრიტიკული აზროვნების დროს ჩვენ ვაკონტროლებთ იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ვქმნით 41-44

სასწავლო კონცეფციები და ენა

იმისთვის, რომ კონცეფციები ვისწავლოთ და ენა გამოვიყენოთ, ისინი გონებრივი აქტის გზით უნდა შევქმნათ 44-46

ადამიანური აზროვნების კრიტიკა

იმისთვის, რომ კარგად ვიაზროვნოთ, მუდმივად უნდა ვაკრიტიკოთ ჩვენი ეგოცენტრული ტენდენციები და ირაციონალური აზროვნება რაციონალურად გარდავქმნათ 46-48

აკადემიური დისციპლინების შესწავლა

დისციპლინის შესასწავლად გონებაში მისი სისტემა უნდა შევიქმნათ და შექმნილი სისტემები კრიტიკულად შევაფასოთ 48-50

კრიტიკული დამოკიდებულება

ნაყოფიერი კითხვების ჩამოყალიბებისათვის უნდა მოვუხმოთ როგორც შემოქმედებითობას, ისე კრიტიკულობას 50-52

კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა

კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა დიალოგიკური ქმედებებია, რომლებიც შეფასებისა და შემოქმედებითობის მრავალჯერად აქტებს მოითხოვს 52-60

დასკვნა 60

მომავლის აზროვნების ხუთი ტიპი 60-72

ნაწილი 1:

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების იდეა

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განუყოფელობა

გონების კრიტიკული და შემოქმედებითი ფუნქციები ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ მათი განცალკევება თითოეული მათგანისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე შეუძლებელია. — ანონიმი ავტორი

კრიტიკულობისა და შემოქმედებითობის ურთიერთდამოკიდებულება, რამდენიმე მიზეზის გამო, არასწორად არის ხოლმე აღქმული. ერთ-ერთი მიზეზი კულტურულ ასპექტს უკავშირდება და მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული მასმედიის მიერ კრიტიკული და შემოქმედებითი ადამიანების საზოგადოებისთვის წარდგენით. მედია შემოქმედებით ადამიანს ხშირად გიჟი პროფესორის ბიძაშვილის მსგავსად წარმოაჩენს. მას მდიდარი წარმოსახვა აქვს, სპონტანურია, ემოციური, არაორდინარული იდეები აწუხებს, მაგრამ ხშირად სრულიად არის მოწყვეტილი ყოველდღიურ რეალობას. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს მედია გვიხატავს, როგორც პიროვნებას, რომელიც მუდმივად შეცდომებს ეძებს, ზედმეტად არის გატაცებული დეტალებით, ან მისი გულის მოგება ძალიან ძნელია. მას არ ახასიათებს სპონტანური ქცევა, არ არის ემოციური და წარმოსახვის უნარი არ გააჩნია.

**კრიტიკულობა
აფასებს;
შემოქმედებითობა კი
წარმოშობს.**

ამგვარი კულტურული სტერეოტიპი არ ეფუძნება სიტყვების „კრიტიკული“ და „შემოქმედებითი“ ზუსტ გამოყენებას. მაგალითად, ვებსტერის სინონიმების ლექსიკონი (*Webster's Dictionary of Synonyms*) სიტყვა „კრიტიკულს“ შემდეგნაირად განსაზღვრავს:

როდესაც ეს სიტყვა ადამიანის მიმართ გამოიყენება, შეიძლება შეიცავდეს მცდელობას, რომ ადამიანი საგნებს მკაფიოდ და ჭეშმარიტად ხედავს, შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს არამართო კარგი და ცუდი, სრულყოფილი და არასრულყოფილი, არამედ სამართლიანად აფასებს და კრიტიკულად განიხილავს მათ მთლიანობაში.

ვებსტერის ახალ მსოფლიოს ლექსიკონში (*Webster's New World Dictionary*) სიტყვა "შემოქმედებითს" სამი ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა აქვს:

1. შექმნა ან შექმნის შესაძლებლობის ქონა, 2. წარმოსახვისა და არტისტული ან ინტელექტუალური გამომგონებლობის შესაძლებლობის (კრეატიული მწერლობა) ქონა ან ჩვენება, და 3. წარმოსახვისა და გამომგონებლობითი ძალების სტიმულირება.

შესაბამისად, ორივე: **კრიტიკული** და **შემოქმედებითი** აზრებიც აზროვნების მიღწევებს წარმოადგენს. კრეატიულობა შექმნისა და კეთების, კრიტიკულობა კი შეფასებისა და განხილვის პროცესს უფრო სრულყოფილს ხდის. სიტყვა "კრეატიულის" განსაზღვრება უკვე შეიცავს კრიტიკულ კომპონენტს (მაგ. წარმოსახვისა და არტისტული ან ინტელექტუალური გამომგონებლობის შესაძლებლობის ქონა ან ჩვენება). მაღალი დონის აზროვნების დროს გონება ერთდროულად უნდა ახდენდეს წარმოებასაც და შეფასებასაც, ქმნიდეს და კრიტიკულად განიხილავდეს აზროვნების პროდუქტებს. მოკლედ, ჯანსაღ აზროვნებას სჭირდება როგორც წარმოსახვა, ისე ინტელექტუალური სტანდარტები.

ამ სახელმძღვანელოს ძირითადი იდეაა ინტელექტუალური დისციპლინისა და შრომისმოყვარეობის მჭიდრო კავშირი ორიგინალურობასა და პროდუქტიულობასთან. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება - აზროვნების ეს სავარაუდო პოლუსები - მისი ხარისხის განუყოფელი ასპექტებია. არ აქვს მნიშვნელობა, რას განვიხილავთ: ინტელექტუალის ბანალურ აზრსა თუ ყველაზე დიდი წარმოსახვის მქონე ხელოვანის ან მოაზროვნის იდეებს. კრეატიული და კრიტიკული ასპექტები ერთმანეთშია გადახლართული. გონება ქმნის აზრებს. გონების მიერ შექმნილი აზრების ხარისხი განსხვავდება ერთმანეთისგან. ხარისხის მიღწევა გარკვეულ სტანდარტებს - და ამგვარად, კრიტიკულ დამოკიდებულებას - ითხოვს.

ამ სახელმძღვანელოში ჩვენ გამოვიკვლევთ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის ურთიერთდამოკიდებულებას და მოვიყვანთ ამ დამოკიდებულების ყველაზე უფრო კომპლექსურ (გენიოსები)

და მარტივ (ყოველდღიური ჩვეულებრივი აზრი) დონეებზე არსებულ მაგალითებს.

ჩვენ ასევე გამოვიკვლევთ შემდეგ თემას: ყოველგვარი მნიშვნელობის ჩამოყალიბება მნიშვნელობების სისტემებისკენაა მიდრეკილი, და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნაწილაკების მსგავსი არსებობისკენ. ეს თავად აზროვნების ბუნების განუყოფელი ნაწილია. ნებისმიერი მნიშვნელობის აგებულება თავისთავად გულისხმობს სხვა მნიშვნელობებს და მათაც მოიცავს. ისინი, თავის მხრივ, კიდევ სხვა მნიშვნელობებსაც აერთიანებს. ნებისმიერი მნიშვნელობის გაგების მცდელობისას ადამიანები ბუნებრივად ცდილობენ მის მნიშვნელობების ჯგუფში მოთავსებას, მიუხედავად იმისა, მათი გაგება რამდენად მიკერძოებული შეიძლება იყოს. როცა ადამიანები იდეის გააზრებას ცდილობენ, ის გონებაში ფესვებს ვერ გაიდგამს და არ უკავშირდება გონებაში არსებულ მნიშვნელობების სისტემებს. მოკლედ, იმის გასაგებად, რომ ადამიანის კარგად აზროვნება სისტემის შიგნით აზროვნებას ნიშნავს, ჩვენ უნდა შევექმნათ მნიშვნელობის მქონე სისტემები და ჩვენი ქმნილებები სიზუსტის, მართებულობისა და შესაბამისობის თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ. ამ საკითხის შესახებ მოგვიანებით უფრო დანვრილებით ვისაუბრებთ.

მოდით, რამდენიმე ძირითადი საკითხის განხილვით დავიწყოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ **ყველანაირი აზროვნება ერთი და იმავე ხარისხის არაა**. მაღალი დონის აზროვნების დროს სამუშაო კარგად სრულდება. ეს ის აზროვნებაა, რომელიც აზროვნების მიზნებს ახორციელებს. თუკი აზროვნება რომელიმე მიზნისკენ არაა მიმართული, ის უბრალოდ ანალიზს მოკლებული წარსულის გაუანალიზებელი ასოციაციების უსასრულო ნაკადში მოძრაობს: „სოსისები ბურთით თამაშს მაგონებს, ბურთით თამაშში ჩიკაგოს, ჩიკაგო ჩემს ძველ სამეზობლოს, ჩემი ძველი სამეზობლო ბებიას, მის მიერ გამომცხვარ ბლინებს, იმის ჭამას, რაც არ მიყვარს. ეს მაგონებს... ეს მაგონებს... ეს მაგონებს...“ შესაძლოა, ზოგჯერ მოაზროვნე რაიმე ღირებულს გადააწყდეს. თუმცა, ეს ხშირად არ ხდება. ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც ამგვარი უმიზნო აზროვნების, ოცნებისა და ფანტაზიორობის სწავლა სჭირდება. ჩვენს უმეტესობას ამგვარი ოცნება და ფანტაზიების განვითარება ბუნებრივად კარგად გამოსდის.

მაგრამ ჩვენთვის ხშირად რთულია რომელიმე აზრისკენ მიმართული აზროვნება. განსაკუთრებით, თუ აზროვნება პრობლემებზე კონცენტრირებასა და ჩახლართულ ლაბირინთებში გარკვევას მოით-

ხოვს. მიზანმიმართული აზროვნება კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას საჭიროებს. ორივე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საუკეთესო და შესანიშნავი აზროვნება ამ ორ განზომილებას თავის თავში აერთიანებს. ჩვენი აზროვნება შესანიშნავია, თუ გვაქვს უნარი, წარმატებით ჩამოვაცალიბოთ შედეგები, მოვახდინოთ მათი ფორმირება, შექმნა და წარმოება. ერთი სიტყვით, მას აქვს შემოქმედებითი განზომილება.

რაიმე მასტიმულირებელი დასასრულის მიღწევის მიზნით, ჩვენ უნდა გვქონდეს კრიტერიუმები: საზომები, მოდელები, პრინციპები, სტანდარტები ან ტესტი, რომელიც დასასრულის მიახლოების შესაფასებლად გამოდგება. მეტიც, ეს კრიტერიუმები გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ, კრიტერიუმების საშუალებით, მუდმივად უნდა შევაფასოთ აზროვნების პროცესის მიმდინარეობა, რათა ვიცოდეთ, მიჰყვება თუ არა ის სწორ გზას; საკმარისად ნათელი, მკაფიო, ზუსტი, თანმიმდევრულია თუ არა და შეესაბამება თუ არა ჩვენს მიზნებს.

საბოლოო შედეგის გათვალისწინების გარეშე, აზროვნებაში წარმატებას ვერ მივალწევთ. ჩვენ ყველაფერს გარკვეული მიზნით ვაგებთ. როდესაც რაიმეს ვქმნით და ვაყალიბებთ, ვიცით, რის შექმნასა და ჩამოყალიბებას ვცდილობთ, ამას ასე რატომ ვაკეთებთ. შემთხვევითი აზროვნება, რომელიც ნახევრად ჩამოყალიბებულ სახეებს შორის უმიზნოდ დაეხეტება, ყოველგვარი მიზნის გარეშე მიიკლავება, არც შემოქმედებითია და არც კრიტიკული.

ეს სიმართლეა, რადგან როცა გონება უმიზნოდ ფიქრობს, მას მცირე ენერჯია და სტიმული აქვს, მოდუნებულია, ამ გზით მიღწეული შედეგები კი, როგორც წესი, უშინაარსოა. ის, რაც უმიზნოა -უაზროა და სიზარმაცესთან, უქმად ყოფნასთან და უმოქმედობასთანაა დაკავშირებული. მაგრამ როდესაც აზროვნებას საინტერესო ამოცანა გამოუჩნდება, გონება უნდა გამოცოცხლდეს, ინტელექტუალური მუშაობისთვის მოემზადოს, ინტელექტი ინტელექტუალურ საგანთან დაკავშირებულ რაიმე სახის მუშაობაში ჩართოს. ეს „მუშაობა“ მანამ უნდა გააგრძელოს, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს, კონკრეტული შედეგი შესაბამის ფორმას არ მიიღებს. ინტელექტის მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინტელექტუალური პროდუქტის შექმნისათვის. ეს პროდუქცია და სამუშაო კი **ინტელექტუალური სტანდარტების** გონივრულ გამოყენებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ხდება შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ერთმანეთთან შერწყმა.

გონებას, ისევე, როგორც სხეულს, თავისი უპირატესობის ან **სიჯანსაღის** საკუთარი ფორმა აქვს. ისევე, როგორც სხეულის შემთხვევაში, გონების სიჯანსაღე ფასდება სტანდარტების (კრიტიკულობა) შესაბამისად განხორციელებული ქმედებებით. ჯანსაღი გონება წარმატებით ერთვება ღირებული ინტელექტუალური პროდუქტების შექმნაში, ჩამოყალიბებასა და წარმოებაში. ამგვარი სიჯანსაღის მისაღწევად გონებამ უნდა ისწავლოს თავისი თავის მოვლა, ენერჯის მოზიდვა, სიძნელების გადალახვა, თუ საჭიროა, ჩაკერკიტება, ნელა და მეთოდურად მუშაობა, ამოცანაში ჩაღრმავება, ყურადღების კონცენტრირება, ანალიზი, აზროვნების ჯაჭვში უკან დაბრუნება, აზრების გადამონშება, რათა ის უფრო სრულყოფილი, ზუსტი და ღრმა გახდეს.

იდეის **წარმომშობი ძალისა** (შემოქმედებითობა) და **გონიერულობის** (კრიტიკული აზროვნება) ერთმანეთისგან გაცალკევება მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება მოხდეს. აზროვნების პროცესში ისინი ერთიანია. ამგვარად, აზროვნება სისტემატურია და ის საბოლოო შედეგისკენ არის მიმართული. მკაფიო მოქმედების, გეგმის, სტრატეგიის ან ტაქტიკის არქონის შემთხვევაში, მას ასევე შეუძლია გვერდზე გადადოს სისტემა და გზამკვლევად თავისი ინტუიცია გამოიყენოს. რაიმეს წარმომშობისა და წარმოების შემძლე კრეატიულ გონებას აქვს სტანდარტები, რომლებსაც ის თავისი პროდუქტის შექმნისთვის და წარმოებისათვის იყენებს. მას არ აკლია გონიერება, ამოცნობის ან კრიტიკული შეფასების უნარი; შეუძლია იყოს ზუსტი და შორსმჭვრეტელი; არ ახასიათებს ბუნდოვანება, უზუსტობა, შეუფერებლობა, ბანალურობა, არათანმიმდევრულობა, ზედაპირულობა და აზრის სივინროვე. ჯანსაღი გონება სწორედ იმიტომ წარმომშობს და აწარმოებს პროდუქტს, რომ მას თავისთვისვე აქვს დაწესებული მაღალი სტანდარტები და აღეღებს ის, როგორ და რას ქმნის.

მხოლოდ ჭეშმარიტების აღმოჩენის ვალდებულების, საგნის არსში ღრმა წვდომის, სააზროვნო მასალის გააზრების შემთხვევაში წარმოიშობა სერიოზული აზროვნება. სერიოზული აზროვნება არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებლად რაიმეს შექმნა ან წარმოება. მისთვის აუცილებელია კონკრეტული შეზღუდვებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება, ნების გარეთ მოქცეული მოვლენების მასთან დაკავშირება, გარდაუვალი ობიექტურობის გათვალისწინება. სწორედ ეს მძიმე, მოუქნელი და მკაცრი რეალობა იძულების წესით ამთლიანებს ინტელექტუალურ შემოქმედებითობასა და პროდუქტიულობას. რაი-

მე საკითხის გარკვევის პროცესის მიღმა რომ ობიექტურობა არ არსებობდეს, არაფერი გვექნებოდა გასარკვევი. თუ ყველაფრის, რაც გვინდა ან რაზეც ვოცნებობთ, გარკვევა შესაძლებელი იქნება, მაშინ თავად სიტყვა „გარკვევა“ ლოგიკას მოკლებული ხდება.

რა თქმა უნდა, ყველა გონება მისი სიჯანსაღის შესაბამის პროდუქტს ქმნის და აწარმოებს. გონება, რომელიც სტანდარტებისა და დისციპლინირებული კრიტიკული მიდგომის მიმართ გულგრილია, შეფასებისას არაზუსტია, შეუფერებელი და წინასწარი განწყობით საზრდოობს. ცრურწმენა, სიძულვილი, ირაციონალური ეჭვიანობა და შიში, სტერეოტიპები და მცდარი შეხედულებები ასევე გონების მიერ იქმნება. თუმცა, ისინი არ წარმოადგენს შემოქმედებითი გონების პროდუქტს. ისინი არადისციპლინირებული, არაკრიტიკული აზროვნების სტილს ასახავენ, ამიტომ, კრეატიულობის პროდუქტებად არ აღიქმებიან. გარდა იშვიათი გამონაკლისისა, კრეატიულობა კრიტიკულ დამოკიდებულებას, კრიტიკული დამოკიდებულება კი კრეატიულობას გულისხმობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი აზრი ხშირად უყურადღებოდ რჩება, ან ბუნდოვანია ხოლმე.

ახლა კი კონცენტრირებას აზროვნების შემოქმედებითობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე - აზრის განხილვაზე - მოვახდენთ; ვიმსჯელებთ აზროვნების, როგორც შემოქმედებითი პროცესის, აზრების ორგანიზების, მათთვის ფორმის მიცემის თაობაზე. განვიხილავთ განვითარებულ აზროვნებას, რომელიც მიზნის მიღწევის, პრობლემების გადაჭრის, ადამიანის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების საშუალებას გვაძლევს იმ სამყაროში, სადაც სწრაფი ცლილებები ერთ-ერთი მუდმივი სიდიდე ხდება.

გონება, რომელიც ინტელექტუალურ კრიტერიუმებსა და სტანდარტებს სისტემატურად და ეფექტურად არ იყენებს, ვერ ახერხებს საგნების დისციპლინირებულ გააზრებას. ამგვარი გონება შემოქმედებითი არაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩნდება ინტელექტუალურ ქმნილებასა და კრიტიკულ შეფასებასთან დაკავშირებული ორმხრივი ლოგიკა. არსებობს ძალიან მჭიდრო ურთიერთკავშირი ინტელექტუალური პროდუქტის **შექმნასა** და შექმნის პროცესის მიმდინარე **კრიტიკას** შორის. მოდით, ორმხრივი ლოგიკა სხვადასხვა მაგალითის საშუალებით უფრო დეტალურად განვიხილოთ.

მხატვრებს ტილოზე საღებავის მცირე რაოდენობა დააქვთ, შემდეგ უკან იხევენ და ნამუშევრს აფასებენ, ისინი ამ ქმედების მონაცვლეობით მუშაობენ. ასობით ფუნჯის მოსმას ასობით შეფასების

აქტი მოსდევს. მხატვრების მსგავსად, მოცეკვავეები ცეკვის პროცესზე დაკვირვებისთვის სტუდიაში დამონატაჟებულ სარკეებს იყენებენ. ისინი სარკეში ხედავენ საკუთარ მოძრაობებს და ჩართულნი არიან შეფასების ასობით აქტში. მოცეკვავეები ვარჯიშობენ და, ამავე დროს, გონებაში ამუშავებენ იმ კონცეფციას, რისი შექმნაც სურთ. მათ შეუძლიათ იმ განსხვავების შეფასება, რომელიც მათ მიერ მიზნად დასახულ კონცეფციასა და დანახულ ქმედებას შორისაა მოქცეული. ისინი ცეკვას ერთდროულად ქმნიან და აფასებენ კიდეც. მოდით, ეს პრინციპი აზროვნების ყველა ტიპზე განვაზოგალოთ.

აზროვნება, რომელიც საგნების ლოგიკას სწვდება

შეფასებისა და აღიარებისთვის ყველა ინტელექტუალურ პროდუქტს გარკვეული ლოგიკა, თანმიმდევრულობა, გასაგები და რაციონალური არგუმენტებით გამყარებული სტრუქტურა სჭირდება. ეს ეხება როგორც ლექსებსა და ესეებს, ნახატებსა და ქორეოგრაფიას, ისტორიას ან ანთროპოლოგიურ ანგარიშს, ექსპერიმენტებსა და მეცნიერულ თეორიებს, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას, ისე კონკრეტული მოვლენების ანგარიშს, ზოგად ფენომენებსა და კანონებს.

ყველანაირი აზროვნება მნიშვნელობების სისტემას გულისხმობს. აზროვნებამ უნდა შეაფასოს ის, რასაც ქმნის.

ინტელექტუალური ნამუშევარი, რომელიც გაუგებარია, რომლის რაციონალური ანალიზი, შეფასება და გამოყენება შეუძლებელია, ვერ ხერხდება მისი ინტეგრირება სხვა ინტელექტუალურ ნამუშევართან, ვერც ერთ აკადემიურ ტრადიციას ან დისციპლინაში მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებს. ჩვენი იდეები თანმიმდევრული ლოგიკის მქონე მნიშვნელობების იმ სისტემაში უნდა დავალაგოთ, რომელიც ჩვენთვის გასაგები და

ლოგიკურია (და მას ჩვენვე ვქმნით და ვაფასებთ), იმის მიუხედავად, ჭანჭიკების ახალ მოსაჭერს ვქმნით, ჩვენი ბავშვის ცუდი საქციელის აღკვეთას ვცდილობთ, თუ რელიგიის პერსპექტივაზე ვმუშაობთ.

მსჯელობა, როგორც შემოქმედებითი აქტი

ფართო გაგებით ყოველგვარი აზროვნება გარკვეულ სისტემაში აზროვნებაა. თუ ჩვენ მოცემულ სისტემას არ ვიცნობთ, მაგალითად, არ ვიცნობთ შიდაწვის ძრავის მუშაობის, მართკუთხა სამკუთხედის ან დელფინის ქცევის ლოგიკას, ჩვენმა გონებამ ეს სისტემა თავად უნდა შექმნას, მას ხორცი შეასხას და მისცეს იმ სტრუქტურის სახე, რომელიც აზროვნების ჩვენი გზას შეესაბამება. ამგვარად, როცა რაიმეს შესახებ ფიქრს ვინწყებთ, ვქმნით ჩვენთვის ადვილად გამოყენებად და ჩვეულ ლოგიკას, ვაყალიბებთ ახალ კავშირებს მიზნებსა და არგუმენტებს შორის, ვაყალიბებთ ახალ ვარაუდებს და კონცეფციებს, ვსვამთ ახალ კითხვებს, ვაკეთებთ ახალ დასკვნებს და რაიმე საგანზე სრულიად ახალი მიმართულების წარმოდგენას გამოვიმუშავებთ.

რა თქმა უნდა, არსებობს აზრი, რომ მოტივირებული აზროვნება რაიმეს (თუნდაც, ადრე უკვე დადგენილის) გარკვევის, ახლის **შექმნის პროცესის** და შემოქმედებითი აქტების ახალი სერიაა. ჩვენ ხომ ჩვენი წინა აზრების მთელ ქარგას იშვიათად ვიხსენებთ ხოლმე. ხშირად მხოლოდ ის გვახსოვს, რაც ადრე დავასკვნით და დანარჩენს კი ისევ თავიდან ვასკვნით (იმაზე დაყრდნობით, რომელი ნაწილის ლოგიკა ან სხვა ლოგიკური სტრუქტურაა იმ წუთას ჩვენს ხელთ). შესაძლოა, ვცვლით არსებულ იდეებს, ვცდილობთ, მოვარგოთ ახალ ინფორმაციას, თანდათანობით ხელახლა ვიაზრებთ და ძველ ნააზრევს ხელახლა გადავამუშავებთ.

გააზრების ყოველი ქვე-მარტივი აქტი ახლის შექმნასთანა დაკავშირებული და შემოქმედებითი აქტების ახალ სერიას წარმოშობს.

იფიქრეთ იმ პროცესზე, რომლის შედეგადაც ანთროპოლოგს ცხოველის მხოლოდ ერთი ძვლის აღმოჩენის საფუძველზე შეუძლია მისი წარმოშობის, სხვა ძვლებისა და ცხოველის სხეულის დანარჩენი ნაწილების აღდგენა. ადამიანის გონება მუდმივად იყენებს გარკვეულ მნიშვნელობას სხვა მნიშვნელობების შესაქმნელად. მნიშვნელობები, ცოცხალი არსებების მსგავსად, სისტემაშია მო-

ქცეული. ისინი გონებაში განყენებულად არ არსებობს და ტომარაში ჩაყრილ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შუშის ბურთულებს არ ჰგავს. მნიშვნელობები საჭმლის მომნელებელი, ნერვული, სასუნთქი და ა. შ. სისტემების მსგავსად, ერთად და შეთანხმებულად მუშაობს.

როგორ ქმნის გონება მნიშვნელობას? ეს რომ გავიგოთ, აუცილებელია შევავსოთ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, რომელიც ქმნის ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობის ჯგუფს, გავიაზროთ აზროვნების შემქმნისა და შექმნილის ლოგიკის შეფასების ურთიერთდამოკიდებულება, გავიგოთ, როგორ ქმნის გონება მნიშვნელობას.

რაიმეს გარკვევის პროცესში სულ მცირე სამი სისტემაა ჩართული:

1. ლოგიკა, რომელიც უნდა გავიგოთ (სისტემა, რომლის გაგებას ან შემქნასაც ვცდილობთ გონებაში);
2. ლოგიკა, რომელსაც არსის გასაგებად ვიყენებთ (ვირჩევთ მას იმ სისტემებიდან, რომლებსაც უკვე ვიცნობთ ან რომლებიც უკვე შექმნილი გვაქვს გონებაში);
3. ლოგიკა, რომელიც საბოლოოდ ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს და რომლის სიჯანსაღეც უნდა შეფასდეს; უნდა გაირკვეს, რამდენად მოცული სისტემა აქვს.

შესაძლოა, ვინმემ დ. ჰ. ლოურენსის რომანში (მაგ. “ვაჟები და საყვარლები”, D. H. Lawrence, Sons and Lovers) მოცემული მთავარი თემების გააზრების მიზნით შექმნილი ჩარჩო, მისი მეორე რომანის (მაგ. “ლედი ჩატერლის საყვარელი”, Lady Chatterley’s Lover) თემების გასააზრებელ საწყის ჩარჩოდ გამოიყენოს. შეიძლება ასე უფრო გასაგები გახდეს თავად ამბავი. შეიძლება ასე არც მოხდეს. შესაძლოა, ადამიანის მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკა არაადეკვატური აღმოჩნდეს. თუ ვინმე 1990-იანი წლების აშშ-ს ეკონომიკური კრიზისის გასაგებად ადრინდელი ეკონომიკური კრიზისის ლოგიკას გამოიყენებს, მაგალითად 1930-იანი წლების აშშ-ს კრიზისს, ადამიანის მიერ შექმნილი გონებრივი რეკონსტრუქცია შესაძლოა საკმარისი არ იყოს 1990-იან წლებში ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გასაგებად. ჩვენ გონებაში ვქმნით პირობით მოდელებს (მცირე მასშტაბის ლოგიკურ სისტემებს), რათა გავიგოთ ის, რის სწავლასაც ვცდილობთ (სისტემა, რომლის ჩანვდომასაც ვცდილობთ). ამ პროცესს კი აზროვნების პროდუქტით, ჩვენ მიერ შექმნილი სისტემით ვასრულებთ, რომელიც რეალობას ან შეესაბამება, ან - არა.

შემოქმედებითი გენიოსი — გამონაკლისი?

შესაძლოა, ვინმე ეწინააღმდეგება აქამდე ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობას. შეიძლება, მათ თქვან, რომ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მჭიდრო ურთიერთკავშირი ჭეშმარიტად შემოქმედებითი გენიოსების შემთხვევაში არ ხდება; იკამათონ იმის შესახებ, რომ შემოქმედებითი გენიოსები სპონტანურად იბადებიან, გენიალური იდეების წარმოშობა იდუმალებითაა მოცული და ქვეცნობიერ პროცესებთან არის დაკავშირებული. გენიოსების აზროვნება რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება, კრიტიკული აზროვნებისა და რაციონალური

ისტორია გვასწავლის, რომ დიდ მოაზროვნეებსაც კი იდეების დამუშავება და თავდადებული ინტელექტუალური შრომა სჭირდებათ.

აზრის მიღმა წარმართული პროცესებია. მათ შეუძლიათ, მაგალითად მოიყვანონ დიდი ხელოვანების, გამომგონებლებისა და მოაზროვნეების ნაშრომები, თუნდაც, ლეონარდო და ვინჩი, რემბრანტი, მიქელანჯელო, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი, ედისონი, შექსპირი, აინშტაინი, ნიუტონი და დარვინი.

იმისთვის, რომ გენიოსის შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას შორის არსებული კავშირი კარგად გავიაზროთ და არგუმენტებზე პასუხის გაცემა შევძლოთ, მოდით, შემდეგი საკითხები განვიხილოთ:

- რა მასშტაბითაა შესაძლებელი გენიოსის შემოქმედებითობა სწავლის გარეშე?
- რამდენად აქვს განვითარებული გენიოსს კრიტიკული აზროვნება?

ამ საკითხებს მოკლედ მიმოვიხილავთ ჯერ კონცეპტუალური, შემდეგ კი ისტორიული თვალსაზრისით.

ენა, როგორც გზამკვლევი

ჯერ ვნახოთ, რას გვეუბნება ენა გენიოსებისა და მათთან დაკავშირებული კონცეფციების შემთხვევაში.

ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი (*Oxford English Dictionary*) გენიოსს ორგვარად განსაზღვრავს:

1. ადამიანი, რომელსაც აქვს “ბუნებრივი უნარი, ცოდნა და კომპეტენცია; სამუშაოს შესაფერისი აზროვნების უნარი, შესაძლებლობა და განსაკუთრებული ნიჭი.”

2. “ბუნებრივად მაღალი ინტელექტუალური ძალა, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნებასთან, აზრთან, მოქმედებასთან, შემოქმედებასთან, ორიგინალურ აზრთან, გამოგონებასთან, აღმოჩენასთან და ფასდება, როგორც უდიდესი.”

პირველი განსაზღვრება ახლოსაა იმასთან, რასაც სიტყვა “ნიჭიერი” გულისხმობს. ნიჭი განსაზღვრავს რომელიმე სფეროში წინასწარ მიდრეკილებას და მაღალი ხარისხის აზროვნებას. მეორე განსაზღვრება კი ინტელექტუალურ პროცესებს და, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი წარმოების წარმატებულ გამოყენებას უკავშირდება, რაც თანდაყოლილ ნიჭს არ საჭიროებს.

გენიოსის კონცეფციის უკეთ გასაგებად, მოდით, გავიხსენოთ მისი ძირითადი მნიშვნელობები: ტალანტი, ნიჭით დაჯილდოებული, უნარი, გონიერება, ბრწყინვალეობა, განათლება, დახელოვნებულობა, ვირტუოზულობა. გაითვალისწინეთ *ვებსტერის ახალ მსოფლიო ლექსიკონში (Webster's New World Dictionary)* მოცემული შემდეგი განსაზღვრებები (და განსხვავებები):

ტალანტი: გულისხმობს ნათლად გამოხატულ ბუნებრივ შესაძლებლობას კონკრეტული საქმიანობის მიმართ და დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ ტალანტის მქონე ადამიანი მის განვითარებას ახდენს, ან მისი განუვითარებელ მდგომარეობაში დატოვება შეუძლია.

ნიჭით დაჯილდოებული: განსაკუთრებული ბუნებრივი და არა ძალისხმევის შედეგად მიღწეული შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანი.

უნარი: კონკრეტული სამუშაოსადმი ბუნებრივი მიდრეკილება, რაც გულისხმობს კონკრეტულ სფეროში განსაკუთრებულად შესაძლებელ მიღწევებსა და წარმატებას.

გენიოსი: გულისხმობს უმეტესწილად შემოქმედებითი ან გამომგონებლობითი ტიპის თანდაყოლილ განსაკუთრებულ ან ფენომენალურ გონებრივ შესაძლებლობებს ხელოვნების ან მეცნიერების სფეროში.

გენიოსებს უკეთ აღიქვამენ ტალანტის, ნიჭის, დამოკიდებულების, შესაძლებლობებისა და ჭკუის ასპექტში.

გონიერება: გულისხმობს გამოცდილებიდან გამომდინარე რაიმეს სწავლას ან გაგებას; ახალ გამოცდილებაზე პასუხის წარმატებულად გაცემას.

ბრწყინვალეობა: გულისხმობს გონიერების არაჩვეულებრივად მაღალ ხარისხს.

განათლება: უნარების მქონე, დახელოვნებული.

დახელოვნებული: ძალიან კომპეტენტური, უნარების მქონე, მცოდნე.

ვირტუოზი: პიროვნება, რომელიც ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაში ძალიან მაღალი დონის ტექნიკურ უნარს ფლობს.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ტალანტი, ნიჭი, გენიოსობა და უნარი აზროვნების რომელიმე სფეროში წარმატებისადმი თანდაყოლილ მიდრეკილებას გულისხმობს. მაგრამ გონიერება, ბრწყინვალეობა, განათლება, დახელოვნება და ვირტუოზულობა არ საჭიროებს თანდაყოლილ თვისებებს. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს განსხვავებები ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან თვისებებს ასახავს და რეალურ შესაძლებლობას წარმოაჩენს, თანდაყოლილი დიდი ნიჭის არქონის მიუხედავად, ადამიანი შეიძლება იყოს ძალიან კრეატიული და ბრწყინვალეც კი. ეს შესაძლებლობა ემპირიული ფაქტიდან გამომდინარეობს. ბევრმა ძალიან წარმატებულმა მოაზროვნემ, რომელიც სამართლიანად ითვლება გენიოსად, თავისი ბრწყინვალეობა მხოლოდ მას შემდეგ გამოავლინა, რაც თავისი ჩვეულებრივი პოტენციალის დახვეწას წლები მოანდომა.

გონებაზეზღუდული გენიოსი

საკითხის გულმოდგინედ დამუშავებამდე შევთანხმდეთ, რომ გენიალურობა გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. ერთსა და იმავე დროს ადამიანი შეიძლება თავის თავში აერთიანებდეს “გენიოსსა” (ცხოვრების ერთ სფეროში) და ვინრო და შეზღუდულ ადამიანს (ყველა სხვა სფეროში). მაგალითად, ბევრი ბრწყინვალე მოაზროვნე ენთუზიაზმით ემსახურებოდა ნაცისტურ რეჟიმს. ერთ-ერთი მათგანი არაჩვეულებრივი ინჟინერი ვერნერ ფონ ბრაუნი (Werner von Braun) იყო. მის მსგავსად იქცეოდნენ გერმანელი გენერლები რომმელი

გენიოსი ხშირად რომელიმე ვინრო კონკრეტულ ინტელექტუალურ სფეროშია სპეციალიზებული და მის ფარგლებში მოქმედებს.

(Rommel) და გუდერიანი (Guderian). ისინი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტები იყვნენ, მაგრამ მათი ეთიკური აზროვნების შესაძლებლობები და სამყაროს აღქმის პერსპექტივა, სამწუხაროდ, საკმაოდ სუსტი იყო. გენიოსის ცხოვრება, სხვა ადამიანის ცხოვრების მსგავსად, შეიძლება ერთგანზომილებიანი იყოს. ინდივიდებს შეუძლიათ ერთ სფეროში გენიოსის დონეზე აზროვნებდნენ, ცხოვრების დანარჩენი სფეროების უმეტესობაში კი საკმაოდ ზედაპირულები იყვნენ.

გაიხსენეთ მაიკლ კერნის¹ (Michael Kearney) მაგალითი. მან სკოლა ექვსი, კოლეჯი კი რვა წლის ასაკში დაამთავრა. ბაკალავრის ხარისხი ათი წლისამ მიიღო. კერნი, რომელმაც მიკრობიოლოგიის მაგისტრის ხარისხი თოთხმეტი წლისამ მიიღო, ამ ნაშრომის წერის დროს ცხრამეტი წლისაა და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

ის კორპორაცია “მაიკროსოფტის” (Microsoft Corporation) პრაქტიკანტია. საგაზეთო სტატიის მიხედვით, კერნიმ, რომელიც ინგლისური ენის სპეციალობის 22 წლის სტუდენტს შეხვდა, თქვა: “კარგია, რომ ჩვენ არასდროს გვიწევს ინტელექტუალურ კამათში ჩართვა, რადგან არაფერი ვიცი ჯეინ ოსტინის შესახებ.” მან ასევე თქვა, რომ თავი არ დაუნებებია თავისი ოცნებისთვის - სატელევიზიო გასართობი შოუს წამყვანი გახდეს. მიუხედავად მთელი თავისი ინტელექტისა, მას მხოლოდ ის სურს, რომ გადაცემის “იბლის ფასი” წამყვანის, ბობ ბარკერის პენსიაზე გასვლის შემთხვევაში, შეცვალოს იგი. “სადღაც გონებაში მე მუდამ მეძახის ჰოლივუდი”, - თქვა კერნიმ, რომელმაც სხვადასხვა თოქ-შოუში მიიღო მონაწილეობა და ერთის წამყვანიც კი გახდა. თუმცა, მან არ გამორიცხა არც მასწავლებლის კარიერა და არც “მაიკროსოფტის” თანამშრომლის მუდმივი სამსახური, რომელსაც “საკაიფო” სამსახური უწოდდა.

ცხადია, კერნი ის ადამიანია, რომელიც იშვიათი თანდაყოლილი ინტელექტუალური შესაძლებლობებითაა დაჯილდოებული. მაგრამ როგორი დასაწანია, რომ გენიოსს, ან, თუ გნებავთ, პოტენციურ გენიოსს, სიამოვნებს ის ფაქტი, რომ არაფერი იცის ჯეინ ოსტინის შესახებ და თავის უმაღლეს მიზნად ჰოლივუდის გასართობი შოუს წამყვანობას ისახავს.

ეს მხოლოდ ერთია იმ მრავალი მაგალითიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ კრიტიკული კომპეტენციის განვითარების გარეშე,

თანდაყოლილი ნიჭი ადვილად შეიძლება ფუჭად ან არასწორად დაიხარჯოს. თუკი ვინმეს სურს, ქება-დიდება დაიმსახუროს, მან თანდაყოლილი ნიჭი კრიტიკული აზროვნებისა და შესაძლებლობების განვითარების პარალელურად უნდა განავითაროს.

დამოკიდებულება თანდაყოლილ ნიჭს, გარემოსა და თვითმოტივაციას შორის

მაშინ რა განასხვავებს ერთმანეთისგან მათ, ვისაც გამორჩეული შემოქმედებითი აზროვნება აქვს და მათ, ვისაც ამგვარი რამ არ გააჩნია? ჩვენი ანალიზის თანახმად, არაჩვეულებრივი კრეატიული ნაშრომები კრიტიკულობისა და ორიგინალობის ერთდროული გამოყენების შემთხვევაში იქმნება. ჩვენ იმაზე ვთანხმდებით, რაც ისედაც ცხადია: დიდი მიღწევებისთვის აუცილებელია თანდაყოლილი შესაძლებლობების მინიმალური დონე. თუმცა, ადამიანი შეიძლება გამოჩენილი მოაზროვნე თანდაყოლილი გენიოსობის ან არაჩვეულებრივი ნიჭის გარეშეც გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საშუალო დონის ნედლი შესაძლებლობები, ინტელექტუალური შეუპოვრობა, სტიმულირება და დისციპლინა ერთმანეთს შეერწყმება.

უფრო ზუსტად, მაღალი დონის კრეატიული აზროვნების მიღწევაში სამი პირობა იღებს მონაწილეობას:

1. თანდაყოლილი ინტელექტუალური შესაძლებლობების მინიმალური დონე, თუმცა, არაა აუცილებელი, რომ ის განსაკუთრებული იყოს;
2. გარემო, რომელიც ამ შესაძლებლობების განვითარების სტიმულირებას ახდენს;
3. დადებითი გამოცხილი და შინაგანი მოტივაცია მსგავსი მონაცემების მქონე და მსგავს სიტუაციაში მოხვედრილი ადამიანის მხრიდან.

ამ თვალსაზრისს ანეკდოტური მტკიცებულებებით გავამყარებთ. ეს მტკიცებულებები დიდი მოაზროვნეების, მსახიობების, მოცეკვავეებისა და კომპოზიტორების განვითარებაში ინტელექტუალური დისციპლინის,

თანდაყოლილი შესაძლებლობების ხელშეწყობას გარემო მხარდაჭერა და შინაგანი მოტივაცია სჭირდება.

გარე მხარდაჭერისა და შინაგანი ვალდებულებების როლს ასახავს. დააკვირდით, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, ამ მოაზროვნებიდან თითოეულს რამდენი ყურადღება და დარიგება, რამდენი თავდადება და ვარჯიში დასჭირდა. ჩვენ სწორედ ისეთ გენიოსებზე შეგჩერდებით, რომელთა წარმატებაზე ამ ფაქტორებმა უფრო მეტი გავლენა მოახდინა, ვიდრე თანდაყოლილმა ნიჭმა.

არისტოტელე

ენციკლოპედია “ბრიტანიკას” (*Encyclopedia Britannica*, მეთერთმეტე გამოცემა, 1910) მიხედვით

არისტოტელეს მამა მაკედონიის მეფის ამინტას მეორის ექიმი და, ამავე დროს, ასკლეპიადების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. უპირველეს ყოვლისა, სარგებელი მოუტანა იმ ფაქტმა, რომ გალენის მტკიცებით, მან ვაჟებს ანატომიური ანალიზის ჩატარება ასწავლა. ვაჟებს ბიოლოგიისა და მედიცინის ინტერესი გაუღვივა, რამაც მათ ბუნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ რწმენა ჩამოუყალიბა. ამას გარდა, მამამ არისტოტელეს მაკედონიის სასამართლოში გავლენისაკენ გაუკაფა გზა. შესაძლოა, სწორედ ამან შეაგულიანა არისტოტელე, მედიცინით დაკავებულიყო. არისტოტელემ თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი ათენში გაატარა. ის თითქმის ოცი წლის მანძილზე, მეტაფიზიკასა და მორალს შორის წონასწორობის შენარჩუნებას და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის უპირობო ლიდერობას ასწავლებდა. ამ პერიოდში, არისტოტელე კითხულობდა პლატონის ნაშრომებს და განიხილავდა მის მიერ ჩამოყალიბებულ დოგმებს. ის მადლიერი, სერიოზული და დამოუკიდებელი მოსწავლე იყო. არისტოტელე თავის ბიბლიოთეკაში მუდმივად მუშაობდა ხელნაწერ მასალებზე: შეჭქონდა მათში შენიშვნები და ჯვარედინი მითითებები, შესწორებები, ხელახლა იწერდა მათ, თემებს აჯგუფებდა და უკითხავდა მოსწავლეებს, თავად კი სულითა და გულით სიმართლეზე იყო კონცენტრირებული (გვ. 501).

ადლერის მიხედვით²

არისტოტელე ოცი წლის განმავლობაში იყო პლატონის მოსწავლე. ის ნიჭიერი სტუდენტიდან წამყვან ფილოსოფოსად იქცა. სწავლობდა ბუნებას, ლოგიკასა და მიზეზობრიობას... 50 წელს რომ

გადააბიჯა, მთელი რიგი ნიგნები დანერა, რომლებიც ბიოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. არისტოტელე მოთმინებით აკვირვებოდა ბუნებრივ მოვლენებს, წლები გაატარა სწავლასა და ცხოველების გაკვეთაში. მთლიანობაში, დაახლოებით 600 ბიოლოგიური სახეობა აღწერა, დაადგინა მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები, ჩაიწერა ახლო ან შორი ურთიერთობის ნიშნები და შეეცადა ბიოლოგიური სახეობები დაეჯგუფებინა. მოსწავლეებს {თავისი თავი} მოქმედი ნატურალისტის პირველ და ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად შესთავაზა; შექმნა ბიოლოგია, როგორც მეცნიერება. არისტოტელე ღრმა შეკითხვებს სვამდა და საზოგადოებას უჩვენებდა, რომ მათზე პასუხის გაცემა ბუნებასთან გამართული მომთმენი და მონდომებული დიალოგის გზით იყო შესაძლებელი (გვ. 22-24).

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

როგორც ენციკლოპედია “ამერიკანას” (*Encyclopedia Americana*) 1950 წლის გამოცემა გვამცნობს, ბეთჰოვენის სახელში ჰოლანდიური “ვან” მიუთითებს მის ჰოლანდიურ წარმოშობაზე. ჰოლანდია მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში მსოფლიოს მუსიკალურ ცენტრს წარმოადგენდა. ბეთჰოვენის ბაბუა მომღერალი (ბანი) და დირიჟორი იყო, მამამისი ტენორი... ბეთჰოვენს მამამ ასწავლა ვიოლინოსა და კლავირზე დაკვრა. მას (ბეთჰოვენს) მუდმივად ედო ჯიბეში რვეული, რომელშიც თავში მოსულ აზრებს იწერდა, მოგვიანებით კი მათ რამდენჯერმე გადახედავდა ხოლმე. მის მუსიკაში ძნელად თუ მოიძებნება ხაზი, რომელზეც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ის მრავალჯერ ხელახლა არ გადანერილა. ჩანაწერების მიხედვით, “ფიდელიოს” ნაწყვეტში სახელად “ო, იმედო” სასულე ინსტრუმენტების პარტია 18-ჯერაა შეცვლილი, გუნდის პარტიაში კი 10 შესწორებაა შეტანილი. ეს ჩანაწერები საინტერესოა, ჭკუის სასწავლებელია და წარმოდგენას გვიქმნის გენიოსის მუშაობის პროცესის შესახებ (გვ. 436-437).

მარი კიური

1897 წელს მარი კიურიმ თავის სადოქტორო კვლევაზე დაიწყო მუშაობა. კვლევა ურანში არსებული ახალი ტიპის გამოსხივებას ეხე-

ბოდა. ადღერის თანახმად³

მისი ნაშრომი თავიდანვე ზუსტი, სისტემატური და შორსმჭვრეტე-
ლური იყო. მარი მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით შეუდგა
ახალი ელემენტის ან ელემენტების არსებობის მტკიცებას. ისევ და
ისევ ახდენდა ხსნარების დაშლასა და გამოკრისტალებას. დროთა
განმავლობაში, დიდი შრომის შედეგად, შეძლო ორი ახალი, ძლიერ
რადიოაქტიური ელემენტის უმცირესი რაოდენობის მიღება... ეს
მიღწევები ნიშნავდა: სამი წლის გამომფიტავ მუშაობას საწყობში,
რომელიც არ თბებოდა, უზარმაზარ ავზებში მოთუხთუხე ქიმიური
ნივთიერებების მძიმე რკინის ნიჩბით მორევას, მოგვიანებით კი,
ხსნარების რამდენჯერმე ბეჯითად გამოკრისტალებას. მარი კი-
ურიმ თქვა: “დღის ბოლოს დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი
ხოლმე”. მარი კიურიმ შეძლო, მისი მოღვაწეობის სფეროში მოწი-
ნავე ადგილი დაეკავებინა. ის გახდა პირველი ქალი, რომელმაც
ნობელის პრემია მიიღო (გვ. 108-109).

ლეონარდო და ვინჩი

ფანკის და ვეგნალის ახალი ენციკლოპედიის (*Funk and Wagnall's
New Encyclopedia*) 1986 წლის გამოცემის თანახმად:

“და ვინჩი იყო მდიდარი ფლორენციელი ნოტარიუსისა და გლე-
ხი ქალის შვილი. 1460-იანი წლებში ოჯახი დასახლდა ფლორენცი-
აში, სადაც ლეონარდომ მიიღო საუკეთესო განათლება, რომელიც
ფლორენციას - იტალიის ინტელექტუალურ და სახელოვნებო ცენ-
ტრს - მისთვის შეეძლო შეეთავაზებინა“. თექვსმეტი წლის ასაკში,
ის „იმ დროის წამყვანი ფლორენციელი მხატვრისა და სკულპტო-
რის ანდრეა დელ ვეროჩიოს (*Andrea del Verrocchio*) სტუდიაში მუ-
შაობდა“. როგორც მეცნიერს, მას „თავის ან მომდევნო საუკუნეში
მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანზე უკეთ ესმოდა ზუსტი სამეცნიერო
დაკვირვების მნიშვნელობა... სწავლობდა ანატომიას, სისხლის მი-
მოქცევასა და თვალის მოქმედებას; გააკეთა აღმოჩენები მეტეო-
როლოგიასა და გეოლოგიაში, შეისწავლა მთვარის გავლენა ზღვის
მიმოქცევაზე, წინასწარ განსაზღვრა კონტინენტების ფორმირების
თანამედროვე კონცეფციები და ივარაუდა წიაღისეული საწვავის
ბუნება... (გვ. 65)“. ცხადია, რომ ლეონარდო და ვინჩის ეს შესაძ-
ლებლობები სისტემატური და დისციპლინირებული კვლევის შედე-
გად განუვითარდა.

გალილეო

ენციკლოპედია „ამერიკანას“ (*Encyclopedia Americana*, 1950) მიხედვით

გალილეოს მამა ფლორენციელი გალარიბებული კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი იყო. მან აიძულა ვაჟი, ლათინური, ბერძნული, ხატვა და მუსიკა ესწავლა... 1581 წელს გალილეომ სწავლა პიზას უნივერსიტეტში განაგრძო, რათა მედიცინისა და არისტოტელეს ფილოსოფიის შესახებ ჩატარებულ ლექციებს დასწრებოდა. სწორედ უნივერსიტეტში განაცხადა მან უარი, მასწავლებლების დოგმატური განცხადებები კრიტიკული ანალიზის გარეშე მიეღო (გვ. 237-238).

ადლერის მიხედვით, 1609 წელს გალილეომ

გაარღვია იმ დროს არსებული ინფორმაციის საზღვრები, შექმნა მარტივი ტელესკოპი და ის ცისკენ მიმართა... მან გადაწყვიტა, ლოგიკისა და ექსპერიმენტების საშუალებით დაემტკიცებინა და გაეფანტა ერთმანეთის სანინააღმდეგო თეორიები... {ის} დაჟინებით ინიშნავდა დროს, რომელიც დაქანებულ ფიცრებზე ბურთების ჩამოგორებას სჭირდებოდა... ნადავლს დადევნებული მაძებარი ძაღლის უნით აწარმოებდა დაკვირვებებს ტელესკოპით. 1610 წლის შემოდგომისთვის მას დაახლოებით 100 ტელესკოპი ჰქონდა შექმნილი... გალილეო იყო პირველი ადამიანი, რომელიც რეალურ ექსპერიმენტებს ატარებდა — სიმალლიდან აგდებდა და აგორებდა სხვადასხვა სიმძიმის საგნებს... მან სათავე დაუდო მოძრაობისა და გრავიტაციის კვლევას (გვ. 44-48).

მიქელანჯელო

როგორც ფანკის და ვეგნალის ახალი ენციკლოპედია (*Funk and Wagnall's New Encyclopedia*, 1986) გვაუწყებს:

ცამეტი წლის მიქელანჯელო მამამ სასწავლებლად მხატვრის - დომენიკო გირლანდაიოს (*Domenico Ghirlandaio*) სახელოსნოში მიაბარა. დაახლოებით ორი წლის შემდეგ მან სწავლა მედიჩის ბაღებში არსებულ მოქანდაკეთა სკოლაში განაგრძო. სიქსტის კაპელას ჭერ-

ის მოსახატად მზადებისას მან მრავალი ფიგურის ჩანახატი გააკეთა, უამრავი სხეულის ტიპი და პოზა მოიგონა (გვ. 273-274).

ენციკლოპედია “ბრიტანიკა” (Encyclopedia Britannica, მეთერთმეტე გამოცემა, 1910) მიქელანჯელოს ცხოვრების შესახებ შემდეგ დეტალებს ამატებს:

ცამეტი წლის ასაკში ის სასწავლებლად ძმები გირლანდაიოების სახელოსნოს მიეზარა, სადაც დაქირავებულ ასისტენტად მუშაობდა. დომენიკო გირლანდაიო იმ დროისთვის ფლორენციის მთავარი მხატვარი იყო. სახელოსნოში მუშაობისას ახალგაზრდა მიქელანჯელომ შეითვისა ფრესკების ხატვის ის უნარ-ჩვევები, რომელთა დამსახურებითაც ოცი წლის შემდეგ რომში თავის ცილისმწამებლებს გეგმები ჩაუშალა. ის ასევე სწავლობდა ბრანკაჩის კაპელაში (Brancacci), სადაც სამოცი წლით ადრე ფრესკებს მახარო ხატავდა (Masaccio)... შემორჩენილია ოსტატის მიერ შესრულებული თითქმის ყველა დიდი ნამუშევრის მოსამზადებელი უამრავი ჩანახატი. ჩანახატების ნაწილი დასრულებულია, ნაწილი არა, თუმცა, მოსწავლეებისთვის დიდი ღირებულებისა და ინტერესის მატარებელია. მიქელანჯელო ყველაზე განსწავლული და მეცნიერებებში კარგად გარკვეული, ყველაზე შთაგონებული და გამბედავი იყო მხატვრებს შორის. სიჭაბუკიდან ღრმა სიბერემდე არასდროს შეუჩერებია ფანქრით, ცარციით ან სანერი კალმით ვარჯიში... მიქელანჯელოს პოეტური სტილი მასავით ენერგიული და კონცენტრირებულია. ის ბევრს მუშაობდა თავის ნაწერებზე და მათ ხშირად ასწორებდა კიდევ. ჩვენ თითქოს ვგრძნობთ, როგორი მგზნებარე ტემპერამენტითა და წარმატების ძლიერი სურვილით სრულყოფდა ენობრივ მასალას გააფთრებული მიქელანჯელო, ზუსტად იმგვარივე უზომო ენერგიითა და გატაცებით, როგორითაც, მისი თანამედროვეების აღწერით, ის მარმარილოს მასალის დამუშავებას იწყებდა (გვ. 362-368).

ნიუტონის, დარვინისა და აინშტაინის კრიტიკული გონება

მოდით, უფრო დანვრილებით განვიხილოთ მეცნიერების ისტორიის სამი ყველაზე დიდი წარმომადგენლის: ნიუტონის, დარვინისა და აინშტაინის აზროვნება. ის, რაც ნიუტონს, დარვინსა და აინშტაინს აერთიანებს, რაიმე ამოუხსნელი ან ეზოთერული თვისება კი არ არის, არამედ დაეჭვების ხელოვნება და დასმულ კითხვებზე ღრმა პასუხების მიღების მიმართ უჩვეულო სიჯიუტეა. მათ ინტელექტუალურ განვითარებაზე დაკვირვება მისტიკურს ვერაფერს გამოავლენს. სამივე მეცნიერი საგნის მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ ელემენტებზე ახდენდა კონცენტრირებას. კვალიფიციური აღქმისა და შეუპოვარი კრიტიკული ანალიზის საშუალებით, მათ ფიზიკური მსოფლიოსა და სამყაროს შესახებ ჩვენი შეხედულებების ხელახალი ფორმულირება შეძლეს. კითხვები, რომლებიც წამოწიეს და ის ხერხი, რომლის საშუალებითაც მათზე პასუხებს ეძებდნენ, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების არსს წარმოადგენს.

ნიუტონი, დარვინი და აინშტაინი გენიოსის განვითარებისთვის საჭირო კრიტიკული დამოკიდებულები-სა და თავდადების მაგალითს წარმოადგენენ.

ისააკ ნიუტონი⁴

კემბრიჯის უნივერსიტეტის კურიკულუმით ნაკლებად დაინტერესებულმა ცხრამეტი წლის ნიუტონმა 45 სათაურის ქვეშ გაერთიანებული კითხვების სია ჩამოწერა. სიის საერთო სათაური *Quaestiones* მის მიზანზე მიუთითებდა: მუდმივად ეჭვქვეშ დაეყენებინა მატერიის, ადგილის, დროისა და მოძრაობის ბუნება. ნიუტონის სტილი გამორჩეულად არაეზოთერული იყო და ცოდნისკენ გზის შეუპოვრად გაკვალვამი მდგომარეობდა. მაგალითად, მან „დეკარტის გეომეტრია იყიდა და ის დამოუკიდებლად წაიკითხა. ორი ან სამი გვერდის შემდეგ, როცა ველარაფერი გაიგო, წიგნის კითხვა თავიდან დაიწყო, მასში თანდათან გაერკვა და მანამ არ მოეშვა, ვიდრე მთელი ნაშრომი

დანვრილებით არ შეისწავლა.“

როცა ჰკითხეს, როგორ აღმოაჩინა გრავიტაციის კანონი, ნიუტონმა უპასუხა: “ეს საკითხის შესახებ განუწყვეტელი ფიქრის საშუალებით შევძელი. საგანი მუდმივად თვალწინ მქონდა და ველოდი, ჩემ წინაშე როდის გაიხსნებოდა ნელ-ნელა რიჟრაჟივით და როგორ გარდაიქმნებოდა ნათელ შუქად.“ ეჭვქვეშ დაყენების თანმიმდევრულმა, თითქმის დაუცხრომელმა პრინციპმა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების კომბინაციამ, ის სამყაროს შესახებ ადრე არსებული თეორიების გააზრებამდე და რეკონსტრუქციამდე მიიყვანა.

ნიუტონი ცოდნას აღიქვამდა, როგორც აღმოსაჩენ თვალუწყვდენელ ველს: „არ ვიცი, მსოფლიოს ჩემზე რა წარმოდგენა აქვს, მაგრამ ჩემი თავისთვის ის პატარა ბიჭი ვარ, რომელიც ზღვის სანაპიროზე თამაშობს და დროდადრო ჩვეულებრივზე უფრო გლუვ კენჭს ან ლამაზ ნიჟარას პოულობს მაშინ, როცა ჭეშმარიტების უზარმაზარი ოკეანე ჯერ კიდევ აღმოუჩენელია.“

ჩარლზ დარვინი⁵

ნიუტონისა და აინშტაინის მსგავსად, დარვინს არ ჰქონდა სწრაფი გონება, ის მუყაითი ადამიანი იყო: „ჩემთვის რთულია აზრების ცხადად და ლაკონურად გამოსატყვა და, ამ სირთულის გამო, ბევრი დრო დავკარგე. თუმცა, მანვე მომიტანა საპირისპირო უპირატესობა და მაიძულა, ყველა წინადადების შესახებ უფრო ხანგრძლივად და დაჟინებით მეფიქრა. ამის წყალობით, ჩემს აზროვნებაში, ჩემს საკუთარ ან სხვათა დაკვირვებებში შეცდომები აღმოვაჩინე.“

ინტელექტუალურ კითხვებზე პასუხების ძიებისას დარვინი ეყრდნობოდა არა მახსოვრობასა და სწრაფ რეფლექსებს, არამედ შეუპოვრობასა და უწყვეტ ფიქრს. “ვერც ერთ თარიღს ან ლექსის ტაეპს რამდენიმე დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ ვიმახსოვრებდი.“ ამის მაგივრად, მას ჰქონდა მოთმინება, რაიმე ამოუხსნელ საკითხზე წლების მანძილზე ეფიქრა... “არასდროს ვყოფილვარ სწრაფად მოაზროვნე ან მწერალი. ყველაფერი, რაც კი მეცნიერების სფეროში გამიკეთებია, ხანგრძლივი ფიქრის, მოთმინებისა და გულმოდგინე მუშაობის შედეგია.“

ალბერტ აინშტაინი⁶

აინშტაინი სკოლაში იმდენად ცუდად სწავლობდა, რომ როცა მამამისმა სკოლის დირექტორს ჰკითხა, მის ვაჟს რომელი პროფესია უნდა აერჩია, დირექტორმა უპასუხა: “ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ის წარმატებას ვერაფერში მიაღწევს.” უნივერსიტეტში არსებულმა ჯგუფებამ დაყოფის სისტემამ “მას ძალაუფლების ღრმა ეჭვი გაუჩინა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.”

აინშტაინის გენიოსობის რაიმე ნიშნები არ გამოუვლენია და ზრდასრულ ასაკშიც უარყოფდა თავისი გონების განსაკუთრებულობას: “არაფრის განსაკუთრებული ნიჭი არ მაქვს. უბრალოდ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ.” ის ციურიხის პოლიტექნიკური უნივერსტიტეტის მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა.

როცა ბოლოს და ბოლოს უნივერსიტეტში მოხვდა, გამოცდებმა მისი გონება იმდენად დაძაბა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში სამეცნიერო საკითხების შესახებ ფიქრი საერთოდ აღარ უნდოდა. აინშტაინის მიერ ჩაბარებული ბოლო გამოცდა არაფრით გამოირჩეოდა, რის გამოც მოგვიანებით ასისტენტის თანამდებობაზე უარი უთხრეს (ყველაზე დაბალი საფეხურის სამსახური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის). მიუხედავად კარგად განვითარებული კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისა, გამოცდების ჩაბარება მისი ძლიერი მხარე არასდროს ყოფილა.

კრიტიკული აზროვნების წყალობით, აინშტაინს შეეძლო, პრობლემა ძალიან დაევიწროებინა: “ერთ-ერთი მისი ყველაზე დიდი ინტელექტუალური ნიჭი იმაში მდგომარეობდა, რომ მცირე და დიდი საკითხებისთვის ყველაფერი ის ჩამოეშორებინა, რაც ამ საკითხისთვის არარელევანტური იყო.”

როცა სამი მოაზროვნის: ნიუტონის, დარვინისა და აინშტაინის მოღვაწეობას განვიხილავთ, აღმოვაჩინთ არა განუსაზღვრელად დიდ გენიალურ გონებას, არამედ მოაზროვნეებს, რომლებიც კრიტიკული და შემოქმედებითი აზრების კომბინირებას ჭეშმარიტების მგზნებარე, მაგრამ არა ეზოთერულ ძიებაში ახერხებდნენ.

კრეატიულობა მისტიფიკაციის გარეშე

ჩვენი აზრით, შემოქმედებითი ადამიანების ისტორიების დაწვრილებით შესწავლა გაამყარებს ჩვენს მთავარ მტკიცებას, რომ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ორიდან ერთ-ერთის გამოცალკევება მისი გამოყენების არეალს ზღუდავს. შემოქმედებითობა კრიტიკული განხილვის გარეშე უზრალოდ სიახლეა. კრიტიკული აზროვნება შემოქმედებითობის გარეშე კი მხოლოდ ნეგატიური შეფასება. ბუნებრივი ნიჭი ვერ განვითარდება შრომისა და გარემოს მხრიდან ხელშეწყობის გარეშე. მაგალითად, აინშტაინი ვერასდროს გახდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეცნიერი, ის რომ უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ სამხრეთ საჰარელ დედას გაეჩინა. შრომა და ხელშეწყობა მიმართული უნდა იყოს გონიერებისა და ორიგინალობის მხარდაჭერისკენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტელექტუალურ სითამამესა და შეუპოვრობაზე, რომელიც დიდი ნიჭის მქონე ადამიანებს ინტელექტუალური სამუშაოს მრავალწლიანი შესრულებისას სწავლისა და განვითარების საშუალებას აძლევს.

შემოქმედებითობის აღქმა ყველაზე უფრო ადვილი მარტივი, ყოველდღიური აზრების კონტექსტშია.

მთავარი აზრი აქ ის არის, რომ შემოქმედებითობის მისტიფიკაცია არ უნდა მოხდეს. ბევრი ამოუხსნელი რამ, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი მაინც, შეიძლება ამოიხსნას მიწიერი პერსპექტივიდან. არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებიც კი საჭიროებენ კრიტიკული აზროვნების მაკორექტირებელ და გამაფართოებელ ძალას. კრიტიკული აზროვნების ანალიტიკური ინსტრუმენტების გარეშე (ინსტრუმენტები, რომლებიც მოაზროვნეს აძლევენ საშუალებას, ცოდნის სტრუქტურის სრულყოფა მოახდინოს) ადამიანს ნებისმიერი მოცემული სფეროს ცოდნის მხოლოდ შეზღუდული აღქმის საშუალება ექნება. ცოდნის სტრუქტურისა და მისი სისტემური ფუნქციების გაგების გარეშე, ადამიანს გაუჭირდება ცოდნის ერთი კონტექსტიდან მეორეში გადატანა. კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალური სტანდარტების გარეშე, ადამიანები აზრების სიძლიერეს ჩვეულებრივ გადაჭარბებულად დადებითად, მის შეზღუდვებს კი - ზედმეტად უარყოფითად აფასებენ. თუ მიღებული განათლება კრიტიკული აზროვნებით არ არის გამყარებული, პიროვნულად ვერ განვითარდები-

ით, ვერ შევამჩნევთ არათანმიმდევრულობასა და ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობებს. ჩვენ მიდრეკილები ვართ იმისკენ, რომ პირადი ცხოვრების ბევრ სფეროს კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე დავექვემდებაროთ.

თითოეული ჩვენგანი არსებული წინასწარი გონებრივი წყობით იბადება, რომელიც ჩვენს კონტროლს მიღმაა. თუმცა, მიუხედავად თანდაყოლილი ნედლი შესაძლებლობებისა, გონება დროთა განმავლობაში უნდა განვითარდეს, რათა ჩვენი პოტენციალის მაქსიმუმს მივალნიოთ. კრეატიულობისთვის საჭიროა ჯანსაღი კრიტიკული აზროვნება, ხოლო კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებას ნება სჭირდება.

აზროვნების ელემენტები

კრიტიკული აზროვნების არსის შეჯამება შემდეგნაირადაც შეიძლება: კრიტიკული აზროვნება არის აზროვნების შესახებ ფიქრის ხელოვნება, რომელიც ახდენს:

1. აზროვნების ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას
2. (საჭიროების შემთხვევაში) მისი გაუმჯობესებული ფორმით წარმოდგენას.

პირველი მოითხოვს ისეთი მოაზროვნის არსებობას, რომელიც ანალიტიკურ და შეფასებით აზროვნებაშია დახელოვნებული. მეორე კი - მოაზროვნეს, რომელსაც შემოქმედებითი აზროვნების კარგი უნარი აქვს. ამგვარად, კრიტიკულ აზროვნებას სამი განზომილება აქვს: ანალიტიკური, შეფასებითი და შემოქმედებითი. მართალია, ჩვენ ამ ფუნქციებს თეორიული სიცხადის მიზნით ერთმანეთისგან განვასხვავებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პროცესებში სამივემ ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა.

კრიტიკული აზროვნება არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც აზროვნების ცალკეულ ელემენტებად დაშლის იზოლირებული პროცესი. მას შემდეგ, რაც ჩვენი აზროვნების შემადგენელ ნაწილებს ცხადად დავინახავთ, მათ შეფასებას უკეთ შევძლებთ. შემადგენელი ნაწილების შეფასება კი მაღალი დონის აზროვნება - კრიტიკული აზროვნების კრეატიული განზომილებაა. ადამიანი ანალიზს იმისთვის აკეთებს, რომ შეაფასოს. შეფასება კი გაუმჯობესებისთვის ხდება.



აქ მოცემულია იმ შემოქმედებითი ქმედებების აღწერა, რომელიც ანალიტიკური აზროვნების ნაწილად მოიაზრება:

- 1. დანიშნულება, მიზანი ან მოსალოდნელი დაბოლოება:** ნებისმიერ მსჯელობას ყოველთვის აქვს ბოლო, რომელიც რაიმე მიზნის მიღწევას, რომელიმე საჭიროების ან სურვილის დაკმაყოფილებას გულისხმობს. თუ ისეთ მიზნებს დავისახავთ, რომლებიც არარეალისტურია ან ჩვენს სხვა მიზნებს ეწინააღმდეგება, მათ მისაღწევად გამართული მსჯელობა პრობლემური იქნება.
- 2. საკითხთან დაკავშირებული შეკითხვა (ან გადასაჭრელი პრობლემა):** მსჯელობისას ყოველთვის არსებობს მინიმუმ ერთი შეკითხვა, სულ მცირე, ერთი პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას. ამიტომ

მსჯელობაში ჩართული ადამიანი უნდა დაფიქრდეს, როგორ ჩამოაყალიბოს პასუხგასაცემი კითხვა ან გადასაჭრელი პრობლემა. თუ კითხვას ცხადად არ ჩამოვყალიბებთ, მკაფიოდ არ განვსაზღვრავთ კითხვის კავშირს ჩვენს ძირითად მიზეზთან ან მიზანთან, ვერ შევძლებთ ლოგიკური პასუხის გაცემას, ან ისეთი პასუხის მიღებას, რომელიც ჩვენს მიზანს ემსახურება. როდესაც კითხვას ვსვამთ, პასუხისმგებლები ვართ მის სიცხადესა და გაურკვევლობაზე.

3. **თვალსაზრისი ან კრიტერიუმები:** მსჯელობა რაიმე თვალსაზრისის ან კრიტერიუმის ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ. თვალსაზრისის ან კრიტერიუმს ჩვენი გონება ქმნის და ნებისმიერი ნაკლოვანება შეძლება ჩვენი მსჯელობის პრობლემების შესაძლო წყარო გახდეს. ჩვენი თვალსაზრისი შესაძლოა შეზღუდული, არასწორ ან დამაბნეველ ანალოგიებზე ან მეტაფორებზე დაფუძნებული, არასაკმარისად ზუსტი, წინააღმდეგობების შემცველი და ა. შ. იყოს. ჩვენი გონება წარმოშობს იმ თვისებებს, რომლებიც ჩვენი მსჯელობისთვისაა დამახასიათებელი. თვალსაზრისი თავისთავად არ არსებობს. მათ ადამიანის გონება ქმნის.
4. **ინფორმაცია, რომელსაც მსჯელობისას ვიყენებთ:** მსჯელობის დროს, როდესაც რაიმე თემის ან ფენომენის შესახებ ვსაუბრობთ. არასრულყოფილი მონაცემები, მტკიცებულებები ან ნედლი მასალა შესაძლოა პრობლემის წყარო გახდეს. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, - მრავალფეროვანი გამოცდილებიდან, მონაცემიდან ან მტკიცებულებიდან რომელს გამოვიყენებთ. ამგვარი გადაწყვეტილებები ჩვენი გონების მუშაობის პროდუქტია. ინფორმაცია თავისთავად არ არსებობს. მათ ადამიანის გონება ქმნის.
5. **ჩვენი მსჯელობის კონცეპტუალური განზომილება:** ყველანაირი მსჯელობა ჩვენი გონების მიერ შექმნილი გარკვეული იდეისა და კონცეფციის გამოყენებას ეფუძნება. მსჯელობისას გამოყენებული - კონცეფციასა და იდეაში არსებული (აქვეა გაერთიანებული თეორიები, პრინციპები, აქსიომები ან წესები) - ნებისმიერი ნაკლი შესაძლოა პრობლემების წყარო გახდეს. იდეების სიმწირის ძალას ჩვენი აზროვნების ხარისხი განსაზღვრავს. კონცეფციებითა და იდეებით ბუნება არ გვამარაგებს. მათ ადამიანის გონება ქმნის.
6. **ვარაუდები — მსჯელობის საწყისი წერტილები:** ნებისმიერი მსჯელობა საიდანაც უნდა დაიწყოს, ზოგიერთი რამ ბუნების ნაბოძებად უნდა აღიქვას. ნაკლოვანი საწყისი წერტილი, ბუნებრივ პროცესებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა, შესაძლოა, პრობლემების წყარო გახდეს. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ისეთი ვარაუდები, რომლებზე დაყრდნობითაც მსჯელობას შევძ-

ლებთ. ჩვენი აზროვნების საწყის ნერტილებს ჩვენვე ვქმნით.

7. **დასკვნები და ინტერპრეტაციები:** მსჯელობა დასკვნებისგანაც შედგება. დასკვნის გაკეთება აზროვნების შემდეგ პროცესთანაა დაკავშირებული: „იმის გამო, რომ ეს ასეა, ისიც ასეა (ან შესაძლოა ასეც).“ მსჯელობის შედეგად გაკეთებული დასკვნების დროს გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლი ასევე შეიძლება ჩვენი მსჯელობისთვის პრობლემად იქცეს. ინფორმაცია, მონაცემები და სიტუაცია არ განსაზღვრავს ჩვენ მიერ გამოტანილ დასკვნებს. ჩვენი გონების მიერ შექმნილი კონცეფციებისა და სიტუაციებთან დაკავშირებული ვარაუდების საფუძველზე ვქმნით დასკვნებს. დასკვნები მხოლოდ გონებაში არსებობს. ისინი მნიშვნელობის შექმნის სტრუქტურის ელემენტებია.
8. **შედეგები — საით მივყავართ მსჯელობას:** ყველა მსჯელობას აქვს დასაწყისი (საწყისი ნერტილი) და დასასრული (საბოლოო ნერტილი). მსჯელობა საწყისი ნერტილიდან საბოლოო ნერტილისკენ მიემართება. სტატიკური მსჯელობა არ არსებობს. ამგვარად, მსჯელობას ახლავს მისგან გამომდინარე შედეგები და იდეები; ქმედებები, რომლებიც შეიძლება მაშინ მოხდეს, თუკი ჩვენს მსჯელობას ამა თუ იმ მიმართულებით ნავიყვანთ და ერთ ან მეორე გადანყვეტილებას მივიღებთ. შედეგები მსჯელობის პროცესის ბუნებრივი ქმნილებებია. გონებამ უნდა შეძლოს იმის განსაზღვრა, რა მოჰყვება ამა თუ იმ სიტუაციაში განხორციელებულ ამა თუ იმ ქმედებას. ეს გონების კრეატიული აქტია. აზროვნებაში შედეგების გამო წარმოშობილი ნებისმიერი პრობლემა შემოქმედებითი აზროვნების პრობლემაცაა.

ინტელექტუალური სტანდარტები

ეფექტურ მოაზროვნედ ჩამოყალიბებისთვის საჭიროა, გავცდეთ აზროვნების ანალიზს და აზროვნების შესაფასებლად სხვადასხვა სტანდარტი გამოვიყენოთ. თავად აზროვნების ბუნება და ის, რისთვისაც აზროვნება გვჭირდება, წარმოშობს ინტელექტუალურ სტანდარტებს.

ინტელექტუალური სტანდარტი საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენ მიერ გაცემული ინფორმაცია იყოს ცხადი და ნათელი. გაუგებარი ენა მიზნის განხორციელებას ხელს უშლის ან შეუძლებელს ხდის. ინტელექტუალური სტანდარტი ასევე დაკავშირებულია ჩვენს მცდელობასთან, გავიგოთ საგანი ან სხვებს ინფორმაცია ისე გავაცნოთ, როგორც ის სინამდვილეშია. ამას აკურატულობის სტანდარტსაც უწოდებენ.

საჭიროებიდან გამომდინარე, საჭიროა კონკრეტული, ზუსტი მონაცემების შეგროვება. უზუსტობა ან დეტალებისა და კონკრეტული მონაცემების მიწოდების შეუძლებლობა მიზნის მიღწევას ხელს უშლის.

შესაბამისობის ინტელექტუალური სტანდარტი დაკავშირებულია ფაქტთან, რომ ზოგიერთი ინფორმაცია არ შეიცავს კითხვას, რომელზე პასუხის გაცემაც ჩვენ გვჭირდება. აზროვნების პროცესში ჩაჩხერილ არარელევანტურ ინფორმაციას ჩვენი ყურადღება საჭირო ინფორმაციიდან სხვა საკითხებზე გადააქვს და არ გვაძლევს საშუალებას, ჩვენ წინაშე წარმოშობილ კითხვას ვუპასუხოთ. რომ განვაზოგადოთ, გაუგებარი იქნებოდა შემდეგის თქმა: „მე მინდა კარგად ვიმსჯელო, მაგრამ არ მაინტერესებს ჩემი მსჯელობა მკაფიო, ზუსტი, აკურატული, რელევანტური, ლოგიკური, თანმიმდევრული ან სამართლიანი იქნება თუ არა.“

მსგავსი რამის თქმა შეიძლება იმ კონცეფციებისა და სიტყვების შესახებაც, რომლებსაც განათლებული ადამიანი საუბრისას იყენებს. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, გაუგებარი იქნებოდა წინადადება: „მე ვცდილობ განვსაზღვრო, ვარ თუ არა ეგოისტი, მაგრამ არ მალეღვებს ის, თავად სიტყვა „ეგოისტი“ რას ნიშნავს.“ კითხვის - „არის თუ არა ჯეკი ეგოისტი?“ - ლოგიკა გულისხმობს სიტყვა ეგოისტის დამკვიდრებული მნიშვნელობით გამოყენებას. თუ ტერმინს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, ჩვენ ის ნაცნობი მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ და, ამ მხრივ, აკურატულები ვიყოთ.

მაღალი ხარისხის მსჯელობა ინტელექტუალური სტანდარტების ფრთხილი გამოყენების საშუალებით ხდება. ამ სტანდარტების გარეშე ჩვენი აზროვნება, სავარაუდოდ, გაიფანტება და ჩვენ მიერ შექმნილი აზრები მიმართულებას დაკარგავს. ჩვენ კი ვეღარ შევძლებთ მაღალი და დაბალი ხარისხის მსჯელობის ერთმანეთისგან გარჩევას. მოკლედ, კრეატიული აზროვნება აუცილებლად დაკავშირებული ინტელექტუალურ სტანდარტებთან. აბა, დაფიქრდით ამ გამოთქმის აბსურდულობაზე: „ჩემი აზროვნება ძალიან კრეატიულია. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ის არ არის მკაფიო, ზუსტი, აკურატული, რელევანტური. სამაგიეროდ, ზედაპირულია, ვიწრო, ალოგიკური და ბანალური.“

ზროვნების ეფექტურად შეფასება მხოლოდ ინტელექტუალური სტანდარტების შექმნისა და გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი.

კითხვები ინტელექტუალური სტანდარტების შესახებ

სიცხადე

შეგიძლიათ ცოტა უფრო მეტი ინფორმაცია მოგვანოდოთ?
შეგიძლიათ მაგალითი დამისახელოთ?
შეგიძლიათ იმის ილუსტრირება, რასაც გულისხმობთ?

აკურატულობა

ამის შემონმება როგორაა შესაძლებელი?
როგორ შეიძლება იმის გაგება, ეს სიმართლეს შეესაბამება თუ არა?
როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის დადასტურება ან გადამოწმება?

სიზუსტე

შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად ისაუბროთ?
შეგიძლიათ მეტი დეტალი მომანოდოთ?
შეგიძლიათ უფრო ზუსტი ინფორმაცია მოგვანოდოთ?

რელევანტურობა

როგორაა ეს ინფორმაცია დაკავშირებული პრობლემასთან?
როგორაა ეს ინფორმაცია დაკავშირებული კითხვასთან?
როგორ დაგვეხმარება ეს ინფორმაცია საკითხის გარკვევაში?

სიღრმე

რომელი ფაქტორები განაპირობებს ამ საკითხის სირთულეს?
თუ შეიძლება, ჩამოთვალეთ რამდენიმე სირთულე, რომლებიც ამ საკითხს უკავშირდება.
თუ შეიძლება, ჩამოთვალეთ ის სირთულეები, რომლებზე მუშაობაც მოგვინებს.

სიფართოვე

საჭიროა თუ არა ამ საკითხის სხვა კუთხით განხილვა?
საჭიროა თუ არა სხვა თვალსაზრისის გათვალისწინება?
საჭიროა თუ არა ამ საკითხის გადაჭრის/მოგვარების სხვა გზით განხილვა?

ლოგიკა

რამდენად გასაგებია ეს ყველაფერი?
შეესაბამება თუ არა თქვენი პირველი და ბოლო აზრები ერთმანეთს?
გამომდინარეობს თუ არა მტკიცებულებებიდან ის, რასაც ამბობთ?

მნიშვნელობა

არის თუ არა განსახილველი პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვანი?
არის თუ არა ცენტრალური იდეა ის, რომელზეც კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ?
ამ ფაქტებიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?

სამართლიანობა

არის თუ არა დაკავშირებული ამ საკითხთან ჩემი პირადი ინტერესი?
პატივისცემით წარმოვადგენ თუ არა სხვათა თვალთახედვას?

კრიტიკული აზროვნების გამოყენება ხელოვნებაში

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ინტელექტუალური სტანდარტების მნიშვნელობაზე მსჯელობის შედეგად მიღებული პროდუქტის შესაფასებლად. მაგრამ როგორაა საქმე მხატვრული აზროვნების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის შემთხვევაში? რამდენადაა, ან არის თუ არა საერთოდ კრიტიკა ან კრიტიკული ანალიზი მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების შინაგანი ნაწილი? ზოგი ამტკიცებს, რომ ხელოვნების შეფასება საერთოდ არ უნდა ხდებოდეს, ან თუ მაინც ხდება, ამგვარი შეფასებისას რაციონალური პროცესები მხედველობაში არ უნდა მივიღოთ. ზოგიერთი ადამიანის მტკიცებით, ხელოვნების ნიმუშები იმდენად თავისებური და ინდივიდუალურია, რომ მათი ბუნების აღწერა შეუძლებელია. ხელოვნების მშვენიერების გადმოცემა სიტყვებს არ ძალუძთ.

მაგრამ თავად ხელოვნები ხშირად კამათობენ ხელოვნების ნიმუშების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ: ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს აქებენ, ზოგს კი გააკიცხავენ. არსებობს ხელოვნების ისეთი ნიმუშებიც, რომლებსაც ადამიანები კიდევ აქებენ და კიდევ აძაგებენ. ყველა ნამუშევარს მაღალი ღირებულება არ გააჩნია: ზოგიერთ მათგანს მუზეუმებსა და ხელოვნების სკოლებში განათავსებენ, ზოგს კი ნაგვის ყუთში ყრიან. ამგვარად, თუკი ვფიქრობთ, რომ არსებობს მაღალი ხელოვნება, ჯობია, უკეთ მოვემზადოთ ჩვენი არგუმენტების დასაბუთებისათვის.

კრიტიკას ხელოვნების სფეროში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუკი ჩვენ დავუშვებთ, რომ ხელოვნებაში ყველაფრის კეთება შეიძლება, გამოვა, რომ ხელოვნება შექებას არ იმსახურებს. ნებისმიერი რამ ყველაფერია და ამავე დროს - არაფერიც. თუკი შეუძლებელი იქნება ხელოვნებაში მაღალი მიღწევების განსაზღვრა, შეუძლებელი გახდება ხელოვნების შესახებ ისე საუბარი, რომ ჩვენსავე თავს არ შევეწინააღმდეგოთ.

ხელოვნების კრიტიკოსები ვერ თანხმდებიან შეფასებისას გამოსაყენებელი მნიშვნელოვანი სტანდარტების შესახებ. როგორც ჩანს,

მაინც არსებობს ზოგადი სტანდარტების ნაკრები, რომელიც ხელოვნების ყველა მნიშვნელოვან ნიმუშს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ხელოვნების ყველა შედეგს აქვს თავისი მნიშვნელოვანი, უნივერსალური და დროთა განმავლობაში დადგენილი ღირებულება. მნიშვნელობის, უნივერსალურობისა და დროთა განმავლობაში დადგენილი ღირებულების სტანდარტები ის მინიმალური კრიტერიუმებია, რომლებსაც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები აკმაყოფილებს. რა თქმა უნდა, ეს სტანდარტები რიგ შემთხვევებში ხელოვნების ფაკულტეტის კარგად ინფორმირებული სტუდენტების ცხარე კამათს იწვევს ხოლმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების შესახებ გამართული ნებისმიერი მსჯელობა იმ ინტელექტუალური სტანდარტების შესაბამისად უნდა შეფასდეს, რომლებიც, ზოგადად, ყველა ტიპის მსჯელობისას გამოიყენება. ხელოვნების, მისთვის დამახასიათებელი ნიშნების, შექმნის პროცესის, ისტორიის, საზოგადოებრივი როლის, მნიშვნელობის, დანიშნულების, გზავნილის შესახებ ისევე უნდა ვიმსჯელოთ, როგორც დისციპლინირებული მოაზროვნეები მსჯელობენ რიცხვების, მცენარეების, ურთიერთობების, არქიტექტურის და ნებისმიერი სხვა სფეროს შესახებ.

შემოქმედებითი პროდუქცია კრიტიკულად უნდა შეფასდეს.

უნივერსალური ინტელექტუალური სტანდარტების მიღმა არსებობს საგანთან დაკავშირებული სპეციფიკური სტანდარტებიც, რომლებსაც მოაზროვნეები ნებისმიერ დისციპლინაში (ხელოვნების ჩათვლით) იყენებენ. მსჯელობისას ქიმიკოსი ქიმიის, ისტორიკოსი ისტორიის, სოციოლოგი სოციოლოგიების, ხელოვანი კი მხატვრულ სტანდარტს ითვალისწინებს. ამგვარად, არსებობს ხელოვნებასთან დაკავშირებული სპეციფიკური სტანდარტები, რომლებიც პოეზიის, მხატვრობის, პიესების, რომანების და, რა თქმა უნდა, ხელოვნების ნებისმიერი პროდუქტის შესაფასებლად გამოიყენება. ბუნებრივია, რომ სპეციფიკური სტანდარტების გამოყენება კონკრეტული ხელოვნების ობიექტის მიმართ ხანდახან ექსპერტებს შორის ინტენსიური დებატების საგანი ხდება

ხოლმე.

დახვეწილ ხელოვანს ხელოვნების ბევრი სტანდარტის იდენტიფიცირება და მათი ინტუიციურად გამოცნობა შეუძლია. მაგალითად, გრაფიკულ კომპოზიციაში რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს იყენებენ:

1. **ბატონობა**, რომელიც გულისხმობს სურათზე ერთი ობიექტის ან ცენტრის არსებობას. ყველა სხვა ობიექტი მას უნდა ექვემდებარებოდეს;
2. **დაპირისპირება**, რომელიც მოითხოვს, რომ სურათზე არსებული სხვადასხვა ელემენტი ერთმანეთთან კონტრასტს ქმნიდეს და ხაზის, ფორმისა და ღირებულების მრავალფეროვნებას გამოხატავდეს;
3. **წონასწორობა**, რომელიც მოითხოვს, რომ კონტრასტმა ჰარმონიული ეფექტი შექმნას.

ხელოვნების კრიტიკოსები თანხმდებიან მიქელანჯელოს, მოცარტის, ბეთჰოვენის, რემბრანტის, ვან გოგის, მილტონის, შექსპირის, პოუპის, კიტისის, დოსტოევსკის და ტოლსტოის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშების მაღალ ღირებულებაზე. მაგრამ კრიტიკა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ხელოვნების ნიმუშებს არ ეხება, ძალიან სერიოზულია ხოლმე. ხშირად კრიტიკოსები მრავალფეროვანი პარადიგმების მიხედვით ფიქრობენ და ზოგჯერ ვერ ეგუებიან დაპირისპირებულ აზრებს. ის, რაც ხანდახან ხელოვნებაში კრეატიულობად ითვლება, შესაძლოა, იმდენად ეზოთერულ პროდუქტად იქცეს, რომ მის დაცვასა და კრიტიკას შორის საზღვარი ბუნდოვანი გახდეს.

როდესაც კრიტიკოსს საგნის არსის გაგების სიღრმე აკლია, ხელოვნების სტანდარტებს სუბიექტურად იყენებს და მხატვრულ მგრძნობელობასა და განსჯაზე აქვს პრეტენზია, მათი შეფასების სატირულად გამოხატვა. გაიხსენეთ დისკუსია ვუდი ალენის ფილმიდან “მანჰეტენი”. ამ სცენაში ისააკი (ვუდი ალენი) და მისი მეგობარი გოგონა ტრეისი, ისააკის საუკეთესო მეგობარს და მის “ინტელექტუალ” შეყვარებულ მერის ხვდებიან.

ისააკი: ჩვენ ქვემოთ ფოტოგამოფენა დავათვალიერეთ... არაჩვეულებრივია, სრულიად არაჩვეულებრივი!

მერი: მართლა? მოგეწონათ?

ისააკი: ქვემოთ გამოფენილი ფოტოები... მშვენიერია! თქვენ არა?

მერი: არა. ჩემი აზრით, ძალიან ბანალური ფოტოებია. დიანა არბუსის ფოტოების გადამღერებად მომეჩვენა, თუმცა, არბუსის ფოტოებისთვის დამახასიათებელი გონებამახვილობა აკლდათ.

ისააკი: სინამდვილეში, უნდა ვაღიარო, რომ ფოტოები ისე ძალიან არ მოგეწონებია, როგორც ორგანული მინისგან გაკეთებული სკულპტურა. იმისი თქმა მინდა, რომ...

მერი: მართლა? ესე იგი, ორგანული მინის სკულპტურა მოგეწონათ?

ისააკი: თქვენ არც ის მოგეწონათ?

მერი: საინტერესოა...

ისააკი: რკინის კუბს გაცილებით სჯობდა. რკინის კუბი ნახეთ?

ტრეისი: ყველაზე უარესი ექსპონატი იყო.

მერი: ჩემი აზრით, ბრწყინვალე იყო. ნამდვილად ბრწყინვალე იყო.

ისააკი: რკინის კუბი იყო ბრწყინვალე?

მერი: დიახ. ჩემთვის ის ძალიან სტრუქტურული იყო. იცით, რას ვგულისხმობ? სრულყოფილად იყო ინტეგრირებული და ჰქონდა... არაჩვეულებრივი ნეგატიური შესაძლებლობა. ყველაფერი დანარჩენი რაც ქვემოთ ვნახე, ნაგავი იყო.

ეს სცენა მხოლოდ სასაცილო არაა. ის იმიტომაცა სასაცილო, რომ გვიჩვენებს ჭკვიან ადამიანს, რომელიც ვერ ხვდება ხელოვნების შესახებ საკუთარი უვიცობის მასშტაბს და იმასაც გვიჩვენებს, როგორ ერევათ სითამამე რაიმეს ცოდნაში.

ესე იგი, რას ვამბობდით? ჯერ ერთი იმას, რომ ხელოვნებაშიც კი, სადაც უმაღლესი დონის კრეატიულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, კრიტიკული აზროვნება გადამწყვეტია. დიდი ხელოვანი ხელოვნების ნაწარმოების მიმართ კრიტიკულია. განსაკუთრებით კრიტიკულები საკუთარი ნაწარმოების მიმართ არიან. მათ ბევრი შეიძლება თქვან იმის შესახებ, რისი მიღწევა სურთ და როგორ ცდილობენ ამის განხორციელებას. როდესაც ხელოვანი ან კრიტიკოსი ხელოვნების შესახებ მსჯელობს, მისი მსჯელობა კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას ექვემდებარება. ხელოვნების ყველა ცალკეული სფერო სპეციფიკური სტანდარტების ლექსიკას აყალიბებს. შეფასება ბევრ სხვადასხვა დონეზე ხდება. მაგრამ ხელოვნებაში, ისევე, როგორც ადამიანური მიღწევების ყველა სხვა სფეროში, კრიტიკული და კრეატიული სამუშაო ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებულია, ურთიერთქმედებს და გავლენას ახდენს ერთმანეთზე.

ნაწილი II

კრიტიკული/შემოქმედებითი აზროვნება და გააზრებულობის საფუძვლები

საგნების ლოგიკის გარკვევა

როგორც დასაწყისშივე ვთქვით, აუცილებელია მინაზე დავეშვათ და შემოქმედებითი აზროვნების დემისტიფიკაცია მოვახდინოთ. სწორედ ამიტომ, აქ განვიხილავთ შემოქმედებითი აზროვნების მაგალითებს როგორც გენიოსების ნაშრომებში, ისე შედარებით მოკრძალებულ ნიმუშებს, რომლებიც ჩვეულებრივ აღქმებსა და აზრებშია ხოლმე გამოხატული.

როდესაც ახალ კონცეფციას ვსწავლობთ, გამოცდილების საფუძველზე დასკვნები გამოგვაქვს, ვიაზრებთ, ვწერთ, ვკითხულობთ, ვსაუბრობთ ან ვისმენთ, ჩვენი გონება სრულფასოვან (თუმცა კი, ბანალურ) შემოქმედებით აქტში ერთვება. იმის გასაგებად, თუ როგორ და რატომ ხდება ეს ბანალური შემოქმედებითი პროცესი, სულაც არაა საჭირო ეზოთერულ, ტვინის საჭყლეტ ან საიდუმლოებით მოცულ სფეროებთან კავშირი.

მოდით განვიხილოთ, როგორ მუშაობს გონება სხვადასხვა საკითხის გარკვევის დროს, როგორ იქმნება მნიშვნელობა ყოველდღიურად, როგორ ხდება ამ მნიშვნელობის ხარისხის შემონიშნება.

რაიმეს მნიშვნელობის გაგება მსჯელობის საშუალებითაა შესაძლებელი. ჩვენ ისეთი კონცეფციების ჩამოყალიბება შეგვიძლია, რომლებიც საგნის ბუნებას აკურათულად, თუმცა, შესაძლოა დეტალურად არ ახასიათებს. საგნის შესახებ მსჯელობა მისი რაიმე ფორმით კონცეპტუალურად გააზრების შემდეგაა შესაძლებელი. მაგრამ იმის გამო, რომ ბუნება თანდაყოლილი იდეებით არ გვამარაგებს, კონცეფციები ინდივიდუალურად ან სოციალური ჩართულობის მეშვეობით უნდა შევქმნათ. კონცეფციების შექმნის შემდეგ ხდება საგნის ინტეგრირება იდეების ქსელში. ინტეგრირებული კონცეფცია ბევრი შესაძლო დასკვნის მამოძრავებელ ძალად იქცევა ხოლმე.

კრიტიკული აზროვნების დროს ჩვენ ვაკონტროლებთ იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ვქმნით.

მაგალითად, ჩემ მიერ ჩამოყალიბებული ქორწინების კონცეფცია მართავს ჩემს გადაწყვეტილებებს, კერძოდ, უნდა დავქორწინდე თუ არა კონკრეტულ ადამიანზე; რამდენად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ჩემი ქორწინება, ან საჭიროა თუ არა განქორწინება. სწავლის პროცესთან დაკავშირებული კონცეფცია წარმართავს სწავლასთან მიმართებაში დასკვნების შემუშავების პროცესს. მაგალითად, თუ მე სწავლას მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებად აღვიქვამ და სხვადასხვა ინფორმაციის დამახსოვრებაში განაფული ვარ, დავასკვნი, რომ კვალიფიციური მოსწავლე ვარ. ვივარაუდებ, რომ ყველა, ვისაც კი ფაქტების დამახსოვრება კარგად შეუძლია, გონებაგახსნილია; ის კი, ვინც ამას ვერ ახერხებს - არა. ვიფიქრებ, რომ ერთადერთი, რაც ადამიანმა კარგად უნდა განივითაროს, დამახსოვრების უნარია. აქედან გამომდინარე, მე სწავლის შედეგებს არასწორად გავიგებ, ეს გაუგებრობა კი სწავლების ჩემეული არასწორი კონცეპტუალიზაციის შედეგად მოხდება.

რაიმე სფეროს შესახებ კარგად ან ცუდად, დასაბუთებულად ან დაუსაბუთებლად დასკვნების გაკეთება კონცეფციის მნიშვნელობისა და საგნის შესახებ არსებული ჩვენი ცოდნის შესაბამისად ან მასთან შეუსაბამოდ შეიძლება მოხდეს. თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შესაძლოა (და ეს ხშირად გვემართება), ისეთი რამ დავასკვნათ და წარმოვიდგინოთ, რაც ნაგულისხმევზე უფრო მეტია.

თუკი კარს უკან ხმა მესმის და მას „კარებზე ფხაჭუნად“ აღვიქვამ, შეიძლება დავასკვნა, რომ ჩემს ძალს ოთახში შემოსვლა სურს. მე ჩემი მსჯელობის უნარი (კონცეპტუალიზაციისა და დასკვნის გამოტანის ჩემი კრეატიული შესაძლებლობა) გამოვიყენე და ხმაური „ფხაჭუნად“ აღვიქვი. გააზრების პროცესში ვივარაუდებ, რომ ერთადერთი ახლოს მყოფი არსება, რომელსაც ჩემს კარზე ფხაჭუნი შეუძლია, ჩემი ძალია. მაგრამ ჩემი მსჯელობა შეიძლება მცდარიც იყოს. შესაძლოა, ხმა არასწორად აღვიქვი „ფხაჭუნად“ (იქნებ, ხმის წარმომავლობის მიმართულებაც კი ვერ გავიგონე სწორად), ან შეცდომით დავასკვნი, რომ გარშემო სხვა ამ ხმის გამოცემის შემდეგ არსება არ არსებობს. დაუკვირდით, - ამ ქმედებების დროს მე ვქმნი, **ვაყალიბებ** ან ხორცს ვასხამ ჩემი აზროვნების დროს მიმდინარე კონცეპტუალიზაციას.

ჩვენთვის ყველაფერი, რასაც ვუყურებთ, არის ის, რისი გაშიფვრა, შემდგომი კონცეპტუალიზაცია და მასზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთებაც (და ამით დამატებით მომავალი კონცეპტუალიზაციის პროცესის წარმართვა) გონების ძალითაა შესაძლებელი. ამას

იმდენად რუტინულად და მექანიკურად ვაკეთებთ, რომ თავს ჩვეულებრივი ლოგიკური შემოქმედების პროცესში ჩართულადაც კი ვერ აღვიქვამთ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენთვის მსოფლიო კონცეფციებისგან თავისუფალი გარემო არ არის და, მოვლენების უკეთ გასაგებად, ჩვენს გამოცდილებებს შეგნებულად კატეგორიებად ვყოფთ.

ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს, საგნები თავისივე მემკვიდრეობით მიღებული სახელებით გადმოგვეცემა. ჩვენ ვხედავთ ხეებს, ღრუბლებს, ბალახს, გზებს, ადამიანებს, კაცებს, ქალებს და ა. შ. და ამ კონცეფციებს ინტუიციურ დონეზე ისე ვიყენებთ, თითქოს, მათში არანაირი რაციონალური ან კრეატიული ქმედება არაა ჩართული. მაგრამ თუ ამ ყველაფერზე დავფიქრდებით, გავაცნობიერებთ, რომ იყო დრო, როცა საგნების სახელების სწავლა გვინევდა. შესაბამისად, ვიდრე მათი სახელები არ ვიცოდით, ამ ფენომენებს მხოლოდ კონცეფციების შუამავლობით ვხედავდით. კონცეფციების შესწავლის პროცესში კი, ჩვენ ისინი გონებაში უკვე შესწავლილ კონცეფციებზე დაყრდნობით უნდა **შეგვექმნა**.

როცა ჩვენ „რაიმეს ლოგიკას“ ვახსენებთ, ამ დროს რალაც ძალიან მთავარსა და მარტივს ვგულისხმობთ, კერძოდ: *მნიშვნელობების სისტემას, რომელიც რაიმე საგნის არსს წარმოადგენს*. არსის გასაგებად ჯერ მისი ძირეული მნიშვნელობა უნდა გავიგოთ. მაგალითად, როგორ მუშაობს ველოსიპედი. როდესაც თქვენ მისი მუშაობის პრინციპს გაიგებთ და სისტემის ახსნას შეძლებთ, ველოსიპედის ფუნქციონირების ლოგიკასაც მიხვდებით. რა თქმა უნდა, ველოსიპედის მართვის სწავლა მისი მუშაობის პრინციპის გაგების გარეშეც შეიძლება.

მაგალითად, ჩვენ ცოცხალ ორგანიზმებს იმისთვის ვსწავლობთ, რომ *ბიო-ლოგი(კ)ა* (ბიოლოგია) ჩამოვაყალიბოთ, ის გზები შევქმნათ, რომლებიც სიცოცხლის სხვადასხვა ფორმის კონცეპტუალიზაციისა და მათ შესახებ მართებული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს. სოციალურ წყობას იმისთვის ვსწავლობთ, რომ *სოციო-ლოგი(კ)ა* ჩამოვაყალიბოთ, საზოგადოებაში ცხოვრების შესახებ მართებული დასკვნები გავაკეთოთ და კონცეპტუალიზაციის გზები დავამუშაოთ. ისტორიულ წარსულს იმის გამო შევისწავლით, რომ ისტორიის ლოგიკის სტრუქტურა შევქმნათ: წარსულის შესახებ მართებული დასკვნების გაკეთება და კონცეპტუალიზაციის გზების მონახვა შევძლოთ. იმის გამო, რომ ეს კონცეპტუალური სტრუქტურები თანდაყოლილი არაა, ისინი ყველამ თავისთვის, ინდივიდუალურად უნდა შექმნას. ამგვარად, გამოდის, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანი

ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობს და, შესაბამისად, ამ პროცესში სხვადასხვა ფენომენის გაგებას გვერდს ვერ აუვლის, ყველა ადამიანი კრეატიულია.

კრიტიკული აზროვნების პროცესში ჩვენ ჩვენივე კონცეპტუალური ქმნილებების კონტროლს ვინყებთ და მათ გაცილებით უფრო მკვეთრად ვაფასებთ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე. კონცეფციები, ადამიანის მიერ შექმნილი ყველა ფენომენის მსგავსად, შეიძლება კარგად ან ცუდად იყოს ჩამოყალიბებული. შექმნისა და სტრუქტურის განვითარების პროცესს, დამოუკიდებლად იმისგან, ეს კონცეპტუალური განვითარება იქნება თუ მატერიალური, თან ახლავს კრიტიკული შეფასება (გამჭრიახობა, გონიერება).

სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილში გამოვიკვლევთ კრიტიკული აზროვნების ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაზას: მნიშვნელობის სისტემების წარმოება (შექმნა) და შეფასება (კრიტიკული დამოკიდებულება). ჩვენ კონკრეტულად შევჩერდებით შემდეგ საკითხებზე:

- კონცეფციები და ენა
- ადამიანის აზროვნება
- აკადემიური დისციპლინები
- შეკითხვები
- კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა.

სასწავლო კონცეფციები და ენა

ამ სახელმძღვანელოში სიტყვა *კონცეფციას* იმ საგნების ჯგუფისთვის ვიყენებთ, რომლებიც ერთნაირად აღინერება. ჩვენი წარმოდგენით, კონცეპტუალიზაცია არის პროცესი, რომელიც ადამიანს საგნების რომელიმე კლასის შესახებ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს. ამგვარად, თუ მე ვინმეს ჭკვიან ადამიანად მოვიხსენიებ, მას ადამიანთა განზოგადებულ ჯგუფში (გონებამახვილებში) მივუჩენ ადგილს.

იმისთვის, რომ კონცეფციები ვისწავლოთ და ენა გამოვიყენოთ, ისინი გონებრივი აქტების გზით უნდა შევქმნათ.

ჩვენ სამყაროს ობიექტებს ერთმანეთთან მსგავსების ან ერთმანეთისგან განსხვავებულობის პრინციპით კატეგორიებად ან კონცეფციებად დაყოფის საშუალებით გავიაზრებთ. შემდეგ მათ სხვა კონცეფციებთან ვაკავშირებთ, მთელი ამ პროცესის განმავლობაში კი დასკვნების საშუალებით მათ ლეგიტიმაციას

ვახდენთ.

მაგალითად, მე თუ ჩემ წინ მდგარ არსებას ძალღად მივიჩნევ, შემიძლია დავასკვნა, რომ ის ყფეს, არ კნავის და არც კრუტუნებს. მეტიც, სხვა კონცეფციების საშუალებით ძალღის შესახებ მთელ ოჯახს ვქმნი (ცხოველი, ბენვი, ცხვირი, თათი, კუდი და ა.შ.).

მშობლიურ ენაზე ლაპარაკის სწავლის დროს ჩვენ ვსწავლობთ ათასობით კონცეფციას. თუ კონცეფციებს სწორად გამოვყენებთ, ჩვენ გარშემო არსებული საგნების შესახებ უამრავ მართებულ დასკვნას გავაკეთებთ. სამწუხაროდ, რაიმე ენის შესწავლა ვერ გვაძლევს, კონცეფციები ფრთხილად გამოვიყენოთ, არც არაზუსტი დასკვნების გაკეთებისკენ გვიბიძგებს. გონებას შეუძლია როგორც კარგი, ასევე ცუდი მნიშვნელობების შექმნა. ვიდრე გონება კონცეფციების გამოყენების პრინციპებს არ იცნობს, ის ეგოცენტრული ან განუსწავლელი გონებრივი აქტების შედეგად მრავალ არასწორ დასკვნას გავაკეთებს. სწორედ ამიტომაა აუცილებელი კრიტიკული აზროვნება.

ინგლისურის მსგავსი ენისთვის დამახასიათებელი კონცეფციების სწავლის პროცესი ჰგავს ჩვენს გონებაში არსებული შეფარული კონცეფციების ზუსტი ასლების შექმნას, რომლებსაც ჩვენ გარშემო საუბრისას იყენებენ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, ვინმეს სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა „მივცეთ“. ეს მნიშვნელობა ყოველმა ადამიანმა, ვინც მას სწავლობს, ინდივიდუალურად უნდა შექმნას. ჩვენ შეგვიძლია მას მხოლოდ ლექსიკონი და სიტყვის განმარტება მივანოდოთ. თუმცა, ეს განმარტებაც უნდა გადაამუშავდეს და მისი პერიფრაზირება მოხდეს, რომ გონება მას დაეუფლოს. როცა ჩვენ მნიშვნელობის არასწორ ინტერპრეტირებას ვახდენთ, სიტყვის მნიშვნელობას არასწორად ვსწავლობთ, გონებაში ვქმნით იმ მნიშვნელობას, რომელიც სიტყვის დამკვიდრებას ეწინააღმდეგება.

აზროვნებაზე კრიტიკული და შემოქმედებითი კონტროლის დასამყარებლად, ჩვენ კონტროლი უნდა დავამყაროთ საუბრის დროს. ჩვენ მიერ გამოყენებული იდეების ან კონცეფციების დიდი ნაწილი სწორედ მშობლიური ენიდან მოდის. სიტყვების სათანადო გამოყენება ნიშნავს იმ კრიტერიუმებისა და სტანდარტების პატივისცემას, რომლებიც ნათელი და ზუსტი აზროვნების საშუალებას გვაძლევს. ჩვენ, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს, კონკრეტული სიტყვა განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოვიყენოთ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ ჩვენ მისი დამკვიდრებული მნიშვნელობის შეცვლის სათანადო მიზეზი გვექნება.

თუ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას გადავწყვეტთ, აუცილებელია მისი დადგენილი მნიშვნელობა ნათლად გავიაზროთ. მაგალითად, ჩვენ არ გვაქვს უფლება, სიტყვა „განათლება“ იმავე მნიშვნელობით გამოვიყენოთ, რომელიც აქვს სიტყვებს „იდეოლოგიური დამუშავება“, „სოციალიზაცია“ ან „სწავლება“. არ შეგვიძლია ერთმანეთთან გავათანაბროთ სიტყვები სიამაყე და სიეშმაკე, სიმართლე და რწმენა, ცოდნა და ინფორმაცია, ქედმაღლობა და თავდაჯერებულობა, სურვილი და სიყვარული და ა.შ. ყველა სიტყვას თავისი დადგენილი ლოგიკა აქვს, რომლის უგულებელყოფა დაბნეულობის ან შეცდომის გარეშე შეუძლებელია.

ყოველ სიტყვას მნიშვნელობათა სულ მცირე ერთ სისტემაში მაინც აქვს დამკვიდრებული ადგილი. სიტყვათა სისტემაში სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად, ჩვენ რალაც სხვა (დაკავშირებული) მნიშვნელობების შესახებაც უნდა ვიცოდეთ, სისტემა ჩვენს აზროვნებაში უნდა აღვადგინოთ და ეს პროდუქტი ადრე შექმნილ მნიშვნელობებს დავაფუძნოთ. სიტყვის მნიშვნელობის სწავლა მარტივი ამოცანა არაა, რადგან ყველა ასეთ შემთხვევაში გონებაში უკვე გააზრებული კონცეფციებიდან ახალი იქმნება. ახალი კონცეფციის შექმნა გულისხმობს, რომ ის მონესრიგებული, შემოსაზღვრული, რეგულირებული და კონტროლირებადია. სიტყვებს ის მნიშვნელობა არ გააჩნიათ, რომელიც ჩვენ გვინდა, რომ მათ ჰქონდეთ. ჩვენ საკუთარ გონებაში უნდა შევექმნათ მათი მნიშვნელობები. როგორც ყოველთვის, გააზრება ითხოვს კრიტიკულ შეფასებას და მოქმედებს კრეატიული პროდუქტის შექმნის გააზრების პარალელურად.

ადამიანური აზროვნების კრიტიკა

თავისთავად მნიშვნელობის შექმნა არანაირ კეთილშობილურ საქციელთან არაა დაკავშირებული. ცრურწმენები, თავის მოტყუება, აზრის დამახინჯება, გაუგებრობები და კარიკატურები გონების მიერ შექმნილი პროდუქტებია. სამწუხაროდ, ადამიანები ჩვეულებრივ ბუნდოვან, დანაწევრებულ, ურთიერთგამომრიცხავ, ეგოცენტრულ, სოციოცენტრულ და საფუძველს მოკლებულ აზრებს ქმნიან. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონების ბუნებრივი მდგომარეობა ეგოცენტრულია. ამ მდგომარეობაში მუშაობის დროს ჩვენ გონების ქვეცნობიერ პროცესებს თავისუფალი ბატონობის საშუალებას ვაძლევთ. ენის გამოყენება საკუთარი ინტერესების დასაცავად და

თავის მოსატყუებლად, მანიპულირების საშუალებით უპირატესობის მოსაპოვებლად ხდება. რაციონალიზებას იმისთვის ვახდენთ, რომ რამე დავმალეთ და გავამართლოთ. ამ დროს ხდება კრიტიკული შეფასებისა და წარმოების კრეატიული შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება.

მოუნესრიგებელი ეგოცენტრული აზროვნების დროს, ჩვენ საკუთარ თავს ვერ ვხედავთ შექმნის, ფორმირებისა და მნიშვნელობებისთვის ფორმის მიცემის პროცესში. არ გვესმის ურთიერთობის მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ენის გამოყენებაზე ზრუნვასა და სიზუსტეს, მეორე მხრივ, აზროვნებაზე ზრუნვასა და სიზუსტეს შორის. როცა სიტყვების შერჩევის კრიტერიუმები არ გვაქვს, ბუნდოვნად ვლაპარაკობთ და ვწერთ. ხშირად ვერ ვახერხებთ ნინადადებების ერთმანეთთან გასაგებად დაკავშირებას, რადგან, უმეტეს შემთხვევებში, ამის გაკეთების პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობთ და დანამდვილებით არც ის ვიცით, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ.

იმისთვის, რომ კარგად ვიაზროვნოთ, მუდმივად უნდა ვაკრიტიკოთ ჩვენი ეგოცენტრული ტენდენციები და ირაციონალური აზროვნება რაციონალურად გარდავიქმნათ.

დამუშავებული ინტელექტუალური დისციპლინის არარსებობის შემთხვევაში ძნელია, კარგად განვითარებულ ან დახვეწილ კონცეპტუალურ ურთიერთობებში დაოსტატდე. ადამიანის აზროვნების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ხანგრძლივი დროის პერიოდში უნდა მოხდეს და აზროვნების სხვადასხვანაირ ტიპებს შორის მიმოსვლის შესაძლებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენ ინტელექტუალურ დისციპლინებზე უნდა ვიმუშაოთ. მხოლოდ და მხოლოდ მოუნესრიგებელ აზროვნებასა და მონესრიგებულ გააზრებას შორის წინ და უკან მოძრაობის საშუალებით შეიძლება გარდავიქმნათ ინტელექტუალურად მონესრიგებულ მოაზროვნებად. აზრის კრიტიკული კონტროლის გარეშე ღირებულ იდეებს ვერ შევქმნით.

ეგოცენტრული ადამიანების აზროვნების უნარი შეზღუდულია. ისინი კარგად მხოლოდ მაშინ აზროვნებენ, როცა საქმეში მათი ეგოცენტრული ტენდენციები არ მონაწილეობს. მაგალითად, შეიძლება ადამიანი ოჯახსა და მეგობრებთან დაკავშირებულ საკითხებზე ეგოცენტრულად ფიქრობდეს, პროფესიული საკითხების განხილვისას (როგორც ფიზიკოსი, არქიტექტორი ან ქიმიკოსი) კი კრიტიკულად

მსჯელობდეს. ერთი სფეროს ექსპერტები სხვა სფეროში აზროვნების დროს ხშირად ირაციონალურები არიან და საკუთარი თავი შეცდომაში შეჰყავთ ხოლმე.

ადამიანის გონება ერთ მთლიანობად არ ვითარდება. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი კრიტიკული აზროვნების ყველაზე უფრო ზოგადი და გასაგები გზით შესწავლა. აზროვნების კონცეფციების ერთ სფეროში შესწავლისას, სასარგებლოა სხვა სფეროებში არსებული ლოგიკური მაგალითების გაცნობაც.

ადამიანის აზროვნების კრეატიული განზომილება მონესრიგებულ აზროვნებისა და კრიტიკული შეფასების არარსებობის პირობებში იშვიათად ვითარდება. ადამიანებს სჭირდებათ კრიტიკული აზროვნების ინსტრუმენტები იმისთვის, რომ ცხოვრება პროდუქტიულ სტრუქტურას დაუქვემდებარონ, გადაჭრან მათ წინაშე არსებული პრობლემები და კომპლექსურ ლოგიკურ საკითხებზე იმუშავონ.

აკადემიური დისციპლინების შესწავლა

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გადასახედიდან აკადემიური დისციპლინის შესწავლის ლოგიკა განათლებაში მდგომარეობს. ნებისმიერი აკადემიური დისციპლინა აზროვნების ის სფეროა, რომელშიც ადამიანები სპეციალიზებულ კონცეფციებს იყენებენ და ისეთ დასკვნებს აკეთებენ, რომლებიც ამ კონცეფციებიდან გამომდინარეობს. საკვანძო კონცეფციები აზროვნებაში გონებრივი აქტების სერიის საშუალებით უნდა განვავითაროთ და მონესრიგებული სისტემის ფორმა მივცეთ. ჩვენ უნდა შევქმნათ საფუძველი და ამ საფუძველიდან გამომდინარე კონცეფციები. შექმნის ყოველი ნუთი გამჭრიახობასა და შეფასებას მოითხოვს. შეუძლებელია შეფასების პროცესში ქარხნული წესით დამზადებული ფორმის ჩანერგვა ან შეყვანა. არ შეიძლება ინტელექტუალური ბრძოლის გარეშე მისი პირდაპირ გონებაში ჩაგდება. განვითარებისკენ მიმართული ყველა ქმედებისთვის მნიშვნელოვანია კრიტიკული შეფასება და შექმნის ყველა აქტი ღია კრიტიკული შეფასებისთვის. ჩვენ ვქმნით და ვაფასებთ; ვაფასებთ იმას, რასაც ვქმნით; შეფასებას კი შექმნის პროცესში ვახორციელებთ.

აზროვნების ნებისმიერი სისტემის შესახებ არსებული ჩანასახოვანი ცოდნის შემონახვის ერთ-ერთი გზა ფუნდამენტური კონცეფციების ილუსტრირების, მაგალითად მოყვანის, დამუშავებისა და მტკიცების ცდაში მდგომარეობს. მაგალითად, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ

რომელიმე მეცნიერება იცით, სულ მცირე, უნდა შეგეძლოს, ახსნათ, რა შესაძლებლობებს სთავაზობს ის იმ ადამიანებს, ვინც ამ მეცნიერების ძირითად ლოგიკაში დაოსტატდა. გონებრივმა ძალებმა ნათელი უნდა გახადოს გონების მოქმედება. სწავლის პროცესისთვის მნიშვნელოვანი კონცეფციების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზა ტექსტის პარაფრაზირებაა. მაგალითად, წარმოიდგინეთ, აქ ჩამოთვლილი ქმედებების შესრულების შემდეგ რის სწავლას შეძლებდით:

დისციპლინის შესასწავლად გონებამ მისი სისტემა უნდა შექმნას და შექმნილი სისტემები კრიტიკულად შევაფასოთ.

- ჩამოყალიბეთ, რა არის ცოცხალი სისტემა (ერთი წინადადებით).
- უფრო მეტად გაშაღეთ ის, რაზეც ილაპარაკეთ (ახსენით მრავალი წინადადებით).
- ააგეთ ერთი ცოცხალი სისტემის მოდელი.
- ცოცხალი სისტემის იდეის ასახსნელად დაამუშავეთ ანალოგია ან მეტაფორა.

ჩამოყალიბების ეს ოთხი აქტი შეიძლება ნებისმიერი კონცეფციის შესახებ არსებული ძირითადი ცოდნის შესაფასებლად გამოვიყენოთ. მაგალითად, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება იმავე პროცესების გამოყენება დემოკრატიის, განტოლების, მასის, ენერჯის, ქიმიური რეაქციის, მოთხრობის მთავარი პერსონაჟის საკვანძო პრობლემის, ამბის ძირითადი აზრის და, რა თქმა უნდა, თქვენთვის მნიშვნელოვანი კონცეფციის ასახსნელად და დასამუშავებლად. ყველა სფეროს აქვს ქსელი ან კონცეფციების სისტემა, რომელიც წარმატებული აზროვნებისთვის უნდა აიგოს გონებაში. ნებისმიერი საგნის შესასწავლად კონსტრუქციული და კრეატიული მოქმედებები უნდა გამოვიყენოთ. სწორედ ისინი წარმოადგენენ დისციპლინის კონტროლის ძირითად საშუალებას.

აკადემიური დისციპლინის გააზრება ხშირად რთულია, რადგან ბევრია ისეთი დისციპლინა, რომელიც მრავალ სხვადასხვა ლოგიკას აერთიანებს. ამის გამო, ადამიანს უერთიერთგამომრიცხავი გონებრივი კონსტრუქციების აგება მოეთხოვება. ამ დისციპლინების შიგნით ინდივიდუალურ თეორიებს სხვადასხვა, სავარაუდოდ, თანაბარი კომპეტენციის მქონე მხარდამჭერები იცავენ. ყველა დისციპლინაში წარმოიშობა საკითხები, რომლებიც ერთმანეთთან დაპირისპირებული

სისტემების პრობლემის გადანყვეტას ემსახურება. მიუხედავად ამისა, ისეთი დისციპლინის შემთხვევაში, რომელიც ადამიანური რეალობის კონცეპტუალიზებასა და გარკვევას ცდილობს, მრავალი ლოგიკის არსებობა გარდაუვალია. ასეთ დისციპლინებს შორისაა ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ეკონომიკა, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვები. ამ სფეროებში ნაყოფიერად მოაზროვნე ადამიანები ხშირად ავითარებენ ღრმა, ალტერნატიულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ შეხედულებებს. ამგვარი სფეროების გასაგებად ადამიანმა ერთმანეთთან დაპირისპირებული ლოგიკის (თეორიები, სისტემები) ტიპების ჩამოყალიბება და მათი ერთმანეთისთვის მორიგება უნდა ისწავლოს.

მრავალი ლოგიკური ტიპის შემცველი მსჯელობა დისკრიმინაციულ თავშეკავებასა და თვითრეგულირებას საჭიროებს. მაგალითად, ფროიდის, ადლერისა და იუნგის ნაშრომების კითხვისას მე გონებაში სამი ისეთი აზრთა სისტემა უნდა შევქმნა, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევა. ეს სისტემები გარკვეულ საკითხებში ერთმანეთს ეთანხმება, ზოგიერთ საკითხში კი დაპირისპირებულია. თუ მე ნაკითხულს გავიგებ, შევძლებ, აზროვნების სამ სხვადასხვა სისტემაში ფიქრის უნარი განვივითარო. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმას, რომ შემოქმედებითობა და კრიტიკული ანალიზი ერთმანეთთან თანამშრომლობენ. მონესრიგებული ინტელექტუალური მუშაობის პროცესის შედეგად, გონებაში ყველა მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს, მოამზადოს და წარმოშვას ფროიდის, ადლერისა და იუნგის აზრები. თითოეულმა მათგანმა უნდა შექმნას თავისი შინაგანი გააზრება, რომელიც მისცემს საშუალებას, ისეთი ნატიფი განსხვავებები ჩამოაყალიბოს, რომლებიც მათ მიერ წარმოდგენილი მრავალი ლოგიკის მიმართ პატივისცემით იქნება გამსჭვალული. დაბოლოს, თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეაფასოს ის აზროვნება, რომელსაც ის თავად ქმნის.

კრიტიკული დამოკიდებულება

ყველა კარგად ჩამოყალიბებული შეკითხვა ჩვენ წინაშე კონკრეტულ მოთხოვნას წამოჭრის. ეს მოთხოვნები თავად კითხვაში ჩანერგილი კონცეფციებიდან, ამ კონცეფციების დამკვიდრებული გამოყენებიდან და კითხვის კონტექსტიდან გამომდინარეობს. ჩემი კითხვა: „რა არის 434-სა და 987-ის ჯამი?“ მოითხოვს პასუხს, რომელსაც დამკვიდრებული სიტყვა „ჯამი“ განსაზღვრავს. თუ დავსვამ კითხვას:

„ჯეკი შენი მეგობარია თუ, უბრალოდ, ნაცნობი?“ მას დასჭირდება პასუხი, რომელიც სიტყვების „მეგობარი“ და „ნაცნობი“ გამოყენებაზე იქნება დამოკიდებული. თუ მე შენ გკითხავ „რამდენად ღრმად სწავლობ კრიტიკულ აზროვნებას?“ კითხვა შემდეგ მოთხოვნებს წამოგიყენებს: 1. უნდა ზუსტად გაიგო, რას ნიშნავს გამოთქმა „კრიტიკული აზროვნება“; 2. უნდა შეაფასო შენი აზროვნება და განსაზღვრო, შეუძლია თუ არა ადამიანს კრიტიკული აზროვნება და ამის გაკეთება რამდენად ღრმად ძალუძს.

ნაყოფიერი კითხვების ჩამოყალიბებისათვის უნდა მოვუხმოთ როგორც კრეატიულობას, ისე კრიტიკულობას.

ნებისმიერი შეკითხვის შესაფერისი პასუხი ის არის, რომელიც კითხვის ლოგიკური მოთხოვნების შესაბამისადაა სტრუქტურირებული. მაგრამ ადამიანები პასუხების ფორმულირებისა და კითხვებზე მუშაობისას არასერიოზულად იქცევიან ხოლმე. ზუსტი კითხვების დასმა ბევრს არ შეუძლია, სხვების კითხვებზე პასუხის გაცემისას კი რესპონდენტები ხშირად იმპრესიონისტულ პასუხებს იძლევიან. ყოველგვარი დაინტერესების, დისციპლინის ან მგრძობელობის გარეშე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება კითხვის ლოგიკის ან კონტექსტის მიმართ, რომელშიც კითხვა დაისვა, ხშირად სუბიექტურია. როდესაც ამგვარ ადამიანებს კითხვების დახვეწას ან სხვის კითხვებზე უფრო ყურადღებით და ზუსტად პასუხის გაცემას სთხოვენ, ბევრი მათგანი ასეთ თხოვნას გაღიზიანებით პასუხობს. ისინი წყობიდან გამოჰყავს აზრის ცხადად, ზუსტად, შესაფერისად ან თანმიმდევრულად ჩამოყალიბების შეთავაზებას (მათთვის გაუგებარი მიზეზების გამო).

კითხვების ლოგიკის მიმართ არსებული ზოგადი უგრძობლობა ენის ლოგიკის ფართო უგრძობლობის ნაწილია. ეს უგრძობლობა მსჯელობისას საჭირო აუცილებელი სიფრთხილისა და დისციპლინის, კონცეფციების გამოყენების, ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს ლოგიკის აღქმის კიდევ უფრო ფართო უგრძობლობიდან მოდის. ხოლო საბოლოო ჯამში კი, ეს ყველაფერი ჩვენი გონების კრეატიული პროდუქციის მონესრიგების საჭიროების, მისთვის კრიტიკულ და შეზღუდულ პირობებში ფორმის მიცემის მიმართ ზოგადი უგრძობელობის ნაწილს წარმოადგენს. პირობები ხან ენის ლოგიკის საშუალებით განისაზღვრება, ხან კი მათ მატერიალური სამყაროს ბუნება აყალიბებს.

კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა

კარგად კითხვის დროს ხდება აქტიური ინტერპრეტაცია, ალტერნატიული მნიშვნელობების წარმოდგენა შესაძლებელი ნინააღმდეგობებით და, ამგვარად, კითხვის პროცესში კრეატიულად ფიქრი. გარდა ამისა, კითხვის დროს ადამიანი აფასებს და კრიტიკულად მსჯელობს ტექსტის შესახებ. კითხვის პროცესი კარგი - აკურატული, ცხადი და გასაგები ვერ იქნება, თუ ის კრიტიკულ ანალიზს არ შეიცავს.

იმავეს თქმა შეიძლება წერის შესახებაც. ენის ჩანასახოვანი უნარების ქონის პირობებში საკუთარი იდეების ჩანერა და წერილობითი ფორმით შექმნა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია. მაგრამ კარგად წერა ნათელი, თანმიმდევრული და რაციონალური იდეების ჩამოყალიბებას ნიშნავს. ამის საპირისპიროდ, ნაწერი, რომელსაც აკლია დისციპლინა, კრიტიკული ელემენტები, ხშირად ბუნდოვანი, არეულ-დარეული და/ან არათანამიმდევრულია.

თუ ადამიანი ენის ძირითად ფორმებს ფლობს, ამ ენაზე ლაპარაკი შეუძლია. რომელიმე ენაზე კარგად ლაპარაკი ნიშნავს, რომ ადამიანი აზრს ნათლად და თანამიმდევრულად აყალიბებს; გააზრებული აქვს, რისი თქმაც უნდა; შეუძლია თავისი აზრების თანმიმდევრულ იდეებად ჩამოყალიბება.

კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა დიალოგიკური ქმედებებია, რომლებიც შეფასებისა და კრეატიულობის მრავალჯერად აქტებს მოითხოვს.

იმავე არგუმენტების მოყვანა შეიძლება მოსმენის ხელოვნებასთან დაკავშირებითაც. კარგ მსმენელს უნდა შეეძლოს ნათქვამის შეჯამება და გონებაში მოსაუბრის მიერ შეთავაზებული მნიშვნელობების შექმნა.

ჩვენი არგუმენტების საილუსტრაციოდ ამ თავის დარჩენილ ნაწილში შევეხებით კითხვის კავშირს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. მსგავსი მსჯელობა მართებულია წერის, ლაპარაკისა და მოსმენისთვის. ნაწარმოებში არსებული მნიშვნელობების სისტემა ადამიანის გონებაში მხოლოდ მნიშვნელობების იმ სისტემის საშუალებით აღწევს, რომელსაც ის კითხვის პროცესამდე ფლობდა. კითხვის უნარის გარეშე ჩვენ სწავლის მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს ვფლობთ და ნაკითხულ მასალას ზუსტად ვერ შევაფასებთ. ჩვენ არ შეგვიძლია გააზრების ფორმის მუდმივი ცვლა და ტექსტის კითხვის პროცესში მისი გადაკეთება. ჩვენ მხოლოდ კითხვის უნარების საშუალებით და

ტექსტის ყურადღებით ნაკითხვის შედეგად შეგვიძლია ახალი კონცეფციების შექმნა ან ახალი ინფორმაციის გათავისება.

კითხვის პროცესში ჩვენ მიერ შექმნილი მნიშვნელობების სისტემა ტექსტის ლოგიკის შესაბამისია. კითხვას აქვს როგორც კრეატიული (კეთება, შექმნა), ისე კრიტიკული (შეფასება, განსჯა) დანიშნულება. კეთება და შეფასება, შექმნა და განსჯა - ჯანსაღი მსჯელობის პროცესის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ტექსტის ლოგიკას კრიტიკული პროცესების გამოყენებით გონებაში გამართული დიალოგის დროს ვქმნით. კითხვის დროს ვსვამთ და ვპასუხობთ საცდელ კითხვებს. ჩვენი პასუხების საშუალებით წარმოვმოთ და ფორმას ვაძლევთ იდეასა და მნიშვნელობებს.

წარმოიდგინეთ კლასიკური ტექსტი, “დამოუკიდებლობის დეკლარაციის” შესავალი:

როდესაც კაცობრიობის ისტორიაში ერთი რომელიმე ხალხისთვის აუცილებელი ხდება, დაშალოს ის პოლიტიკური კავშირი, რომელიც მას სხვა ხალხებს უქვემდებარებს და იმისათვის, რომ მან ბუნების კანონისა და ღვთის ბუნებით მონიჭებული უფლების ძალით მოიპოვოს დამოუკიდებელი და თანასწორი ადგილი დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოთა შორის, კაცობრიობის აზრის მართებული პატივისცემა მოითხოვოს, განაცხადოს ის მიზეზები, რომლებმაც იგი აიძულა, ცალკე გამოყოფილიყო. ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ 11. გვ 556).

მხოლოდ ყურადღებით კითხვის უნარის განვითარების შემდეგ შევძლებთ ამ და სხვა ნებისმიერი მონაკვეთის ასათვისებელ ნაწილებად დაყოფას და მის დეტალურ და გასაგებ პარაფრაზირებას. მიაქციეთ ყურადღება შემდეგ მაგალითს:

როდესაც კაცობრიობის ისტორიაში ერთი რომელიმე ხალხისთვის აუცილებელი ხდება, დაშალოს ის პოლიტიკური კავშირი, რომელიც მას სხვა ხალხებს უქვემდებარებს

პარაფრაზი: “პოლიტიკური” მონყობა (მმართველობის ფორმა) მუდმივი არ არის. ხანდახან მნიშვნელოვანია არსებული მმართველობის გაუქმება და ახალი მონყობის შემოღება. ასეთ შემთხვევაში ადამიანების ერთი ჯგუფი უნდა გამოეყოს იმ ჯგუფს, რომელთანაც ადრე იყო დაკავშირებული.

და იმისათვის, რომ მან ბუნების კანონისა და ღვთის ბუნებით მონიჭებული უფლების ძალით მოიპოვოს დამოუკიდებელი და თანასწორი ადგილი დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოთა შორის,

პარაფრაზი: არც ერთ მთავრობას არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა სხვასთან შედარებით. ყველა მათგანს ერთნაირი სტატუსი უნდა ჰქონდეს (იყოს “ცალკე მდგომი და თანაბარუფლებიანი”). ამერიკის შეერთებული შტატების ცამეტი შტატი უნდა იყოს მსოფლიოს “ცალკე მდგომი და თანაბარუფლებიანი” ძალა. ეს აქტი, რომლითაც ადამიანები თავის თავს სხვა ხალხისგან დამოუკიდებლად აცხადებენ (ვისთანაც ადრე დაკავშირებული იყვნენ) სრულიად ბუნებრივი აქტია, რომელიც “ბუნების კანონებს” ეფუძნება. ცამეტ შტატს აქვს ბუნებრივი “უფლება”, აჯანყდეს და თავისი თავი მსოფლიოს ყველა ქვეყანას “ცალკე მდგომად და თანაბარუფლებიანად” წარუდგინოს.

კაცობრიობის აზრის მართებული პატივისცემა მოითხოვოს, განაცხადოს ის მიზეზები, რომლებმაც იგი აიძულა, ცალკე გამოყოფილიყო.

პარაფრაზი: როცა ადამიანები გადანყვეტენ, სხვა ხალხს ჩამოშორდნენ და თავისი საკუთარი ერი დააარსონ, მათ მსოფლიოს სხვა ხალხების თვალსაზრისის პატივისცემის ნიშნად უნდა წარმოადგინონ მიზეზები, რომლებმაც ამგვარი “რევოლუციური” გადანყვეტილების მიღებისკენ უბიძგა.

ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ქვეშარიტება, რომ ადამიანები შემნილნი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა....

პარაფრაზი: ზოგიერთი ქვეშარიტება იმდენად ნათელია, რომ ყველამ უნდა აღიაროს. მაგალითად: ყველა ადამიანი ერთნაირად კარგია, ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს ისეთი ძირითადი უფლებები, რომელთა უარყოფას ვერავინ შეძლებს. კერძოდ, მოიცავს უფლებას, არ გატკინონ, არ დაგაზიანონ, არ მოგკლან; გქონდეს აზროვნების, მოძრაობის, მეგობრების შერჩევის, რწმენის თავისუფლება და იმ ცხოვრებით ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც მოგწონს.

ახლა ერთმანეთს შევადაროთ ტექსტის კითხვით დაკავებული ორი მოსწავლე (სტივენნი და კოლინი).⁷ არსებობს მათი ხმამაღალი ფიქრის დეტალური ჩანაწერი. ისინი ტექსტის მოცემულ მონაკვეთზე მსჯელობენ. მკვლევარის კითხვები ფრჩხილებშია მოთავსებული. კომენტარები, რომლებიც მოსწავლეების საუბრის ყოველ ეპიზოდს მოსდევს, მკვლევარებს ნორისსა და ფილიპსს ეკუთვნით. ამოცანის სიმულირების მიზნით, წარმოგიდგენთ მონაკვეთს სათაურის გარშე და ყოველ ჯერზე თითო ეპიზოდს შემოგთავაზებთ, ისევე, როგორც ეს მოსწავლეების შემთხვევაში მოხდა. ასე დავინახავთ საოცარ განსხვავებას ამ ორ მკითხველს და მათ მიერ გამოვლენილ მაღალი და დაბალი დონის უნარებს შორის.

7. მაგალითი აღებულია სტივენ ნორისისა და ლინდა ფილიპსის სტატიიდან, “Explanation of Reading Comprehension: Scema Theory and Critical Thinking Theory”, Stephen Norris და Linda Phillips in *Teacher’s Record*, Volume 89, Number 2, Winter 1987.

ეპიზოდი №1

დილის სინყნარე დაირღვა. კაცები ყურისკენ ეშვებოდნენ.

სტივენი: კაცები ყურისკენ ეშვებოდნენ. არ ვარ დარწმუნებული, რატომ. ძალიან წყნარი დილა იყო. (რამე კითხვები გაქვთ?). არა. (როგორ ფიქრობთ, საით მიდიან?) ვფიქრობ, შესაძლოა სანაოსნოდ მიდიოდნენ, ან წყლის თხილამურებით სასრიალოდ ან რამე მსგავსის გასაკეთებლად.

კოლინი: ეს კაცები საყიდლებზე მიდიან. (ამას რატომ ამბობთ?) ისინი Bay-ში აპირებენ ტანსაცმლის ყიდვას. (Bay რა არის?) სავაჭრო ცენტრი. (რამე კითხვები თუ გაქვთ?) არა. (როგორ ფიქრობთ, საით მიდიან?) საყიდლებზე მიდიან, რადგან, როგორც ჩანს, რალაც გაუტყდათ.

სტივენი ხვდება, რომ ინფორმაცია არ არის საკმარისი იმის ასახსნელად, კაცები რას აკეთებენ. კითხვების დასმის დროს ის საორიენტაციოდ გვთავაზობს რამდენიმე ალტერნატივას, რომლებიც მოცემულ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ, ამავე დროს, იმაზეც მიუთითებს, რომ სხვა შესაძლებლობებიც არსებობს. კოლინი ამბის ერთ ახსნას გვთავაზობს და საკმაოდ დარწმუნებული ჩანს იმაში, რომ კაცები Bay-ში, კანადურ სავაჭრო ცენტრების ქსელში ტანსაცმლის საყიდლად მიდიან. შეკითხვების დასმის დროს იმეორებს თავის აზრს იმის შესახებ, რომ კაცები საყიდლებზე მიდიან, მაგრამ ასევე გვთავაზობს ახსნას, რომელიც ტანსაცმლის საყიდლად წასვლის შესახებ გამოთქმულ მის პირველ იდეას არ შეესაბამება. ის ვარაუდობს, რომ გატყდა რალაც კონკრეტული საგანი, რომლის შეცვლაც Bay-ში ნაყიდი პროდუქტითაა შესაძლებელი.

ეპიზოდი №2

ბადის ამოღება ძნელი იყო. მძიმე ზღვა და ძლიერი მოქცევა საქმეს “გირდისთვისაც” კი ართულებდა. ბადეში გახვეულმა ნადავლმა შეგვაგულიანა, რომ მეტი ძალისხმევა გამოგვეყენებინა.

სტივენი: ძალიან კარგი დღე არ ყოფილა, რადგან ტალღებმა მდგომარეობა გაართულა. შაქმე, ალბათ, რალაცის გასაკეთებელ

მანქანას ეხება. ბადე, ალბათ, წყლიდან რამის, მაგალითად, ძველი ჩაძირული ნაწილების ამოსატანად ჰქონდათ თან. არა, მოიცა! აქ წერია “გახვეული ნადავლი”. არ ვიცი რატომ, მაგრამ თევზზე ვფიქრობ. ბუნებრივია, რომ თუ თევზი დაიჭირეს, მისი წყლიდან ამოტანაც მოუწევდათ. (რამე კითხვები თუ გაქვთ?) კითხვები არ მაქვს. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ “გირდი” შესაძლოა ამ კაცების მანქანაა, რომელიც მათ თევზის ან ბადეში გაბმული სხვა რამის ამოტანაში ეხმარება. შესაძლოა, რალაც ბორბლის მსგავსი რამ იყოს.

კოლინი: მგონი, წყლის დიდი შადრევანი უნდა იყოს. (რატომ იყო ბადის ამოღება რთული?) წყალზე ბევრი ძალაა კონცენტრირებული. (რატომ იყო მათთვის მნიშვნელოვანი ბადის ამოღება?) რალაც ხომ უნდა ეკეთებინათ? (ამით რისი თქმა გსურთ?) ბადე უნდა ამოეღოთ, ამის გაკეთება კი რთული იყო. (რამე შეკითხვები ხომ არ გაქვთ?) არა. (როგორ ფიქრობთ, სად მიდიან?) საყიდლებზე.

მეორე ეპიზოდის ინტერპრეტაცია ორივე ბავშვმა პირველზე დაფუძნებით ააგო. სტივენი აგრძელებს იმაზე ფიქრს, რას აკეთებდნენ კაცები. ის ზღვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ალტერნატიულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მათ კიდევ უფრო ხვეწს და ცდილობს, ჰიპოთეტური ინტერპრეტაციები კონკრეტულ დეტალებს დაუპირისპიროს. ბოლოს მიდის დასკვნამდე, რომ “გირდი” მანქანაა. თუმცა, მის დეტალებს, ბუნებასა და ფუნქციებს არ აკონკრეტებს. ის ფრთხილად გვთავაზობს მისი ბადისთვის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ მაშინვე ეჭვი შეაქვს მის ფუნქციებში, როცა ხვდება, რომ ნადავლთან ვერ დააკავშირებს. ამის შემდეგ ის მანქანას ალტერნატიულ ფუნქციას ანიჭებს და მოგვიანებით ამ ინტერპრეტაციას მოთხრობიდან მოყვანილი ფაქტით ადასტურებს, რომ კაცები შეგულიანდნენ. მას სჯერა, რომ თუ თევზს დაიჭერ, მისი გემზე ატანაც აუცილებლად მოგინდება. ბოლოს ის ხედავს, რომ სიტყვა “გირდის” უფრო კონკრეტული, მაგრამ ფრთხილი ინტერპრეტაცია შეუძლია მოხდინოს.

კოლინი კვლავ იცავს თავის ინტერპრეტაციას Bay-ში საყიდლებზე წასვლასთან დაკავშირებით. როცა ამის შესახებ კითხვებს უსვამენ, კოლინი ინტერვიუს ჩამტარებელს ბუნდოვანი ან ტაფტოლოგიური ტერმინებით პასუხობს. ის თითქოს არ ახდენს სიტყვებთან “ბადე”,

“ნადავლი” და “ზღვა” დაკავშირებული ინფორმაციის პასუხებში ინტეგრირებას და კმაყოფილი ჩანს იმით, რომ მას დამატებით ინფორმაციას არ აწვდიან “გირდის” ბუნებისა და ბადის ქაჩვის მიზეზის შესახებ. ბოლოს ის დარწმუნებით დაასკვნის, რომ კაცები საყიდლებზე მიდიოდნენ.

ეპიზოდი №3

ბორტზე ოთხი “კვინტლით” წასასვლელად მზად ვიყავით. კაპიტანმა ჩრდილოეთით ფაშატების კუდები დაინახა.

სტივენი: საინტერესოა, “კვინტლები” რა არის? იქნებ, საზღვაო ტერმინია? სიტყვა, რომელიც შეიძლება ბორტზე არსებულ წონასთანაც იყოს დაკავშირებული. იქნებ, იმას ნიშნავს, რამდენი თევზი ჰყავდათ გამბანზე? (ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თევზია?) ვფიქრობ, რომ თევზია ან ისეთი რამ, რაც წყალში იპოვეს, მაგრამ თევზისკენ უფრო ვიხრები, რადგან იქ სიტყვა “ნადავლი” ეწერა. (რატომ აღელვებდათ ფაშატების კუდების ამბავი?) არ ვიცი. ფაშატების კუდები... მოიცადეთ, ფაშატები ცხენებია, მაგრამ წყალში ცხენებს რა უნდათ? ფაშატების კუდები ჩრდილოეთშია. აქ ფერმერები ჩრდილოეთით ამინდის პროგნოზის გასაგებად იყურებიან ხოლმე. იქნებ მეთევზეებიც ასე იქცევიან? დიახ, მე ვფიქრობ, რომ საქმე სწორედ ამაშია. ღრუბლები, რომლებიც შეიძლება ძლიერ ქარს, სეტყვას ან რამე ისეთს ნიშნავს, რაც შესაძლოა, ნავში მსხდომთათვის საშიში ყოფილიყო. თანაც მათ ბორტზე დიდი ნონა ჰქონდათ დაგროვილი. (რაიმე შეკითხვები ხომ არ გაქვთ?) არა.

კოლინი: ისინი საყიდლებს მორჩნენ და სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ. (გემბანზე რა ჰქონდათ?) “კვინტლები”. (“კვინტლები” რა არის?) არ ვიცი. (ფაშატების კუდებზე რატომ ლელავდნენ?) ქუჩაში ცხენების ჯოგი იდგა და შეეშინდათ, რომ მანქანას დაესხმოდნენ თავს. (რაიმე შეკითხვები ხომ არ გაქვთ?) არა.

სტივენი წარმატებით ახერხებს ინტერპრეტაციის განვითარებაში ახალი ინფორმაციის ჩართვას. ის თავიდანვე აღიარებს, რომ არ იცის სიტყვა “კვინტლის” მნიშვნელობა და ამ უცნობი ამოცანის ამოხსნა

სურს. ის გვთავაზობს მნიშვნელობას, რომელიც ინტერპეტაციისა და ტექსტში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია. მცდელობისას, გაიგოს, რას ნიშნავს გამოთქმა “ფაშატის კუდები” აღიარებს, რომ მისი მნიშვნელობა არ იცის. ამის შემდეგ ის დაადგენს იმას, რაც ზოგადი ცოდნიდან (ფაშატები ცხენები არიან, ცხენები ნყალში ვერ იქნებიან, ფერმერები ამინდის გასაგებად ჩრდილოეთის მიმართულებით იყურებიან ხოლმე), ტექსტიდან (კაცები ყურეში არიან, მათ რალაცეები აქვთ ბორტზე, ფაშატების ცხენები? ჩრდილოეთშია) და ადრე გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე (კაცები ნავში არიან, ისინი თევზაობენ) იცის.

ის ამ ცოდნის ინტეგრირებას მისთვის ნაცნობი ალბერტას ფერმერების შეშფოთებისა და მეთევზეების მსგავსი შეშფოთების შედარებისთვის ახდენს. ანლოგიის ბუნებიდან გამომდინარე, დაასკვნის, რომ ფაშატების კუდები ღრუბლის ფორმა უნდა იყოს, რომლის საშუალებითაც ამინდის გაგება უნდა იყოს შესაძლებელი. სტივენი ცდილობს, მხარდაჭერა მოიპოვოს იმ დასკვნასთან დაკავშირებით, რომ მისი აზრი ფაშატების კუდების გამო კაპიტნის შენუხებას ახსნიდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მან ამბის გაგებისთვის საჭირო ზოგადი ხაზი არ დაკარგა.

კოლინი კვლავ თავისი პირველი ინტერპრეტაციის ერთგული რჩება და მასში ახალი ინფორმაციის ჩართვას არ ახდენს. ის მუშაობს ინფორმაციაზე, რომელიც სახლში მიმავალ კაცებსა და ფაშატების კუდებს შეეხება, მაგრამ იგნორირებას უკეთებს ან ბუნდოვნად ხსნის სხვა ინფორმაციას. მაგალითად, ამბობს, რომ ტვირთი “კვინტლები-სგან” შედგებოდა, მაგრამ არანაირად არ ცდილობს დაადგინოს, ეს არსებები ვინ არიან. ის ახსენებს ფაქტს, რომ კაცები მზად იყვნენ წასასვლელად და ვარაუდობს, რომ საყიდლებს მორჩნენ. ამავე დროს, კოლინი არ ცდილობს ახსნას სიტყვების “კაპიტანი” და “ბორტზე” კავშირი ტანსაცმლის ყიდვასთან. ის ფაშატების კუდებს ცხენების ჯოგად აღიქვამს და ფიქრობს, რომ შესაძლოა, ის ადამიანებს დაესხას თავს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არ ამბობს, რატომ შეიძლება იყვნენ ცხენები ქუჩაში. ის თანდათან უფრო და უფრო ტოლერანტული ხდება ორაზროვანებისა და მისი ინტერპრეტაციის ნაკლებობის გამო. დააკვირდით, წინა გვერდებზე მოცემულ ეპიზოდებში ორივე მკითხველი კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებებს შორის არსებული ურთიერთობების ასახვას როგორ ახდენს. სტივი ქმნის ინტერპრეტაციას და აქტიურად ავითარებს მას. ამავე დროს, იყენებს

ადრე მიღებულ ცოდნასა და თავისი წარმოსახვის კრეატიულ და კონსტრუქციულ მხარეებს. საქმის მსვლელობისას ინტერპრეტაციას აფასებს კიდევ. მისგან განსხვავებით, კოლინი კრეატიული მხოლოდ ერთი თვალსაზრისითაა: ის ავითარებს უცნაურ ინტერპრეტაციას, რომელსაც არც რეალობისა და არც მსჯელობის სიცხადის თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვა არ გააჩნია. (მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც წაიკითხა, რომ კაცებმა თავისი დაჭერილი თევზი დაჭრეს, გადამწყვიტა, რომ შესაძლოა, კაცებმა ეს თევზები აკვარიუმში ჩასვეს). ამგვარი კრეატიულობა არ წარმოადგენს ჭეშმარიტად კრეატიულ აზროვნებას. მხოლოდ კრიტიკული ანალიზის მონესრიგებული პროცესი ხდის შესაძლებელს, რომ ადამიანის გონებაში ტექსტის ლოგიკის ჩამოყალიბებისა და მნიშვნელობების ის სისტემა შეიქმნას, რომელიც ტექსტში მოცემული მნიშვნელობების სისტემას ასახავს.

დასკვნა

შემოქმედებითობა — ტერმინი, რომელიც საქებარ კონტექსტში გამოიყენება ხოლმე, თავის თავში იმაზე მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ უბრალო შემთხვევითობა ან არაკრიტიკული გადამწყვეტილებები. ეს უფრო მეტია, ვიდრე რაიმეს შექმნის ნედლი პროცესი. შემოქმედებითობა მოითხოვს, რომ რაც იქმნება, რის გაკეთებასაც ვცდილობთ, ყველაფერი შინაგან კრიტერიუმებს უნდა შეესაბამებოდეს. მხოლოდ სიახლე საკმარისი ვერ იქნება, რადგან ღირებულების არმქონე სიახლის წარმოება ადვილია. სწორად გამოყენებული ინტელექტუალური სტანდარტები და დისციპლინა ხელს არ უშლის კრეატიულობას. პირიქით, ისინი მისი გააქტიურების კარგ საშუალებას წარმოადგენს: ნელა და მტკივნეულად, თითო ჯერზე თითო პრობლემის გადაჭრითა და თითო აზრის ჩამოყალიბების გზით მოქმედებს.

თუკი ჩვენ დასაბუთებული აზროვნებისა და ანალიზის მეშვეობით, პრობლემების ინტელექტუალურ განხილვას ვისწავლით, მაშინ აზრების ბუნებისა და ხარისხის გონიერი კრიტიკოსები გავხდებით, გამოვა, რომ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ კრიტიკულად კრეატიული და კრეატიულად კრიტიკული ადამიანები და მოაზროვნეები გავმხდარიყავით. მასტიმულირებელი ინტელექტუალური სამუშაო ავითარებს როგორც შემფასებელი შემქმნელის, ისე შემქმნელი შემფასებლის ინტელექტს. შედეგად კი გონების სიჯანსაღესა და ყოველმხრივ ინტელექტუალურ დახელოვნებას მივიღებთ.

ავტორების შესახებ

დოქტორი ლინდა ელდერი განათლების ფსიქოლოგიის სპეციალისტია. ის კოლეჯში ფსიქოლოგიასა და კრიტიკულ აზროვნებას ასწავლის. არის კრიტიკული აზროვნების ფონდის პრეზიდენტი და კრიტიკული აზროვნების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი. დოქტორი ელდერის განსაკუთრებული ინტერესის სფერო აზრისა და ემოციის, კოგნიტიური და აფექტური სფეროების ურთიერთობაა. მან ჩამოაყალიბა კრიტიკული აზროვნების განვითარების ეტაპების ახალი თეორია. ლინდა ელდერი კრიტიკული აზროვნების თემაზე დაწერილი ოთხი წიგნისა და თვრამეტი სახელმძღვანელოს ავტორია. ის დინამიკური მომხსენებელია და დიდი გამოცდილება აქვს კრიტიკული აზროვნებისათვის მიძღვნილი სემინარების ჩატარებაში.

დოქტორი რიჩარდ პოლი კრიტიკული აზროვნების მიმდინარეობის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია. ის კრიტიკული აზროვნების ცენტრის კვლევის განყოფილების დირექტორი და კრიტიკული აზროვნების ხელოვნების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეა. კრიტიკული აზროვნების თემაზე დაწერილი აქვს 200-ზე მეტი სტატია და შვიდი წიგნი. დოქტორ პოლს ჩატარებული აქვს ასეულობით სემინარი კრიტიკული აზროვნების სფეროში და შექმნილი აქვს რვა ვიდეო-პროგრამა საზოგადოებრივი სატელევიზიო არხისთვის (PBS). მისი შეხედულებები კრიტიკული აზროვნების შესახებ განხილული იყო გაზეთებისა და ჟურნალების New York Times, Education Week, The Chronicle of Higher Education, American Teacher, Educational Leadership, Newsweek, U.S. News and World Report, Reader's Digest ფურცლებზე.

მომავლის აზროვნების ხუთი ტიპი

ჰოვარდ გარდნერი

მესამე ათასწლეულის დასაწყისში “მომავალზე” მსჯელობისთვის კარგად ვართ მომზადებული. კონცეფციის ჩამოყალიბებისას ვითვალისწინებ ისეთ ფართოდ აღიარებულ ტენდენციებს, როგორებიცაა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მზარდი ძალა; ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროების ურთიერთკავშირი; სხვადასხვა წარმოშობისა და მისწრაფებების მქონე ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა.

როგორც ადამიანმა, რომელიც მომავლის საკითხების განხილვას მთელ მსოფლიოში შესწრებას, შემოიძლია დავადასტურო, რომ განათლების ძალის (კარგია ეს თუ ცუდი) რწმენა საყოველთაოდ გავრცელებული ფენომენია. ჩვენ განათლებას უბრალოდ იმ საწარმოდ მივიჩნევთ, რომელმაც მომავლის აზროვნება უნდა ჩამოაყალიბოს.

აზროვნების რომელი ტიპები უნდა განვაავითაროთ მომავლისთვის? ჩემი აზრით, ჩვენს დროში ყველაზე აქტუალური ხუთი შემდეგი ტიპი გამოიკვეთა. ნება მომეცით, ისინი სათითაოდ წარმოგიდგინოთ.

I. დისციპლინირებული აზროვნება

ინგლისურ ენაზე სიტყვა “დისციპლინას” ორი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ერთ შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ გონების შესახებ, რომელმაც ერთი ან მეტი დისციპლინა შეისწავლა - ხელოვნება, ხელობა, სხვადასხვა პროფესია, მეცნიერებები. უხეში შეფასებით, ადამიანს დაახლოებით ათი წელი სჭირდება რომელიმე დისციპლინაში იმდენად დასახელოვნებლად, რომ ის მის ექსპერტად ან სპეციალისტად ჩაითვალოს. შესაძლოა, ძველ დროში ადამიანს შეეძლო დამტკბარიყო მიღწეული წარმატებით მას შემდეგ, რაც რომელიმე დისციპლინაში დაოსტატდებოდა. მაგრამ ახლა ეს ასე აღარაა! იცვლება როგორც თავად დისციპლინები, ისე გარემო პირობები და მოთხოვნები იმ ინდივიდების მიმართ, ვინც თავის დისციპლინაში თავდაპირველი დახელოვნება მოახერხა. ადამიანმა თავისი თავისა და სხვების განათლება მომავალი ათწლეულების განმავლობაშიც უნდა

გააგრძელოს.

ცოდნის ამგვარი დაგროვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადამიანი ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობით დისციპლინირებულია. თუ მას გამარჯვებულის პოზიციაში დარჩენა სურს, ამისთვის მუდმივად და დისციპლინირებულად უნდა იმუშაოს.

“დისციპლინირებული აზროვნება” თავდაპირველად სკოლაში გვიყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით, აკადემიური დისციპლინებით ცოტა ჩვენგანი დაინტერესდება. მრავალი ჩვენგანი შეისწავლის ისეთ დისციპლინებს, რომლებიც, მკაცრად რომ ვთქვათ, ნაკლებად “მეცნიერულია”. თუმცა “აზროვნების” დახვეწის საჭიროება სხვადასხვა სფეროს წარმოადგენლების ფართო სპექტრს მოიცავს, იქნება ეს იურისტი, ინჟინერი, ხელოსანი თუ ბიზნესის სფეროში დასაქმებული ადამიანი, რომელსაც პერსონალთან, მარკეტინგთან, გაყიდვებთან ან მენეჯმენტთან აქვს შეხება. უდავოა, რომ ამგვარი განათლების მიღება აკადემიური ლექციების ან პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების საშუალებითაა შესაძლებელი, რის შემდეგაც ადამიანი აღწევს დახელოვნების იმ დონეს, რომელიც მომავალი წლების განმავლობაში მუდმივად უნდა დახვეწოს.

დღევანდელ დღეს ერთ დისციპლინაზე მეტის ექსპერტობას დიდი პატივით ეკიდებიან. ჩვენ ვაფასებთ ინტერდისციპლინურ, მულტიდისციპლინურ ან ტრანსდისციპლინურ სფეროში მომუშავე ადამიანებს. მაგრამ ამგვარ საკითხებში ფრთხილები უნდა ვიყოთ. მხოლოდ ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს არ უნდა ვაფასებდეთ, იმავე პრინციპით, პლურიდისციპლინურ სფეროში მომუშავე ადამიანი (მაპატიეთ ამ ნეოლოგიზმის გამო), მხოლოდ მაშინაა განსაკუთრებული, თუ ის ერთზე მეტ დისციპლინასაა დაუფლებული და მათი ერთმანეთში ინტეგრირება შეუძლია. ბევრი ჩვენგანისთვის საქმის სხვადასხვა კუთხით განხილვა უფრო კეთილგონივრული მიზანია.

II. სინთეზური აზროვნება

ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა და მულტიდისციპლინური მუშაობისთვის აღიარებულმა მეცნიერმა მიურეი გელმანმა (Murray Gell-Mann) ჩვენს დროსთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. ის ხაზს უსვამს იმას, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე დაფასებული აზროვნება სწორედ სინთეზური აზროვნება იქნება. ეს აზროვნების ის ტიპია, რომელსაც ფარ-

თო სპექტრის წყაროების კვლევის შემდეგ შეუძლია გადანყვიტოს, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო და მოგვიანებით ის იმგვარად დაალაგოს, რომ არამარტო მისთვის, არამედ სხვებისთვისაც იყოს გასაგები.

გელ-მანნი აქ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ინფორმაციის მონოდება მწირი არასდროს ყოფილა, მაგრამ ახალი ტექნოლოგიებისა და მედიის განვითარებასთან ერთად (განსაკუთრებით, ეს ინტერნეტს ეხება) ჩვენ 24 საათიანი უზარმაზარი მოცულობის, ერთი შეხედვით, მოუნელებელი რაოდენობის ინფორმაციით ვართ გარშემორტყმული. აუცილებელი ხდება მისი სეროიზული დახარისხება. ვისაც სინთეზირება კარგად შეუძლია, თავისი წრის მწვერვალზე მოექცევა. ისინი კი, ვის მიერ განხორციელებული სინთეზი სხვებისთვის გასაგები იქნება, ფასდაუდებელი მასწავლებლები, კომუნიკატორები და ლიდერები გახდებიან.

მოდით, მოვიყვანოთ მაგალითი ბიზნესის სფეროდან. წარმოიდგინეთ, რომ კომპანიის აღმასრულებელი პირი ხართ და თქვენი ფირმა ახალი კომპანიის შექმნას გეგმავს. ეს კომპანია იმ სფეროში მუშაობს, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანი ჩანს, მაგრამ მას არც თქვენ და არც თქვენი უახლოესი კოლეგები კარგად არ იცნობთ. თქვენი მიზანია, მოიპოვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმისთვის, რომ საბჭოსთან ერთად მომავალი ორი თვის განმავლობაში გააზრებული გადანყვიტოება მიიღოთ. ამ საქმის სანყის წერტილად არსებული სინთეზი და მისი განხილვა-შეფასებაც გამოდგება. თუ მსგავსი სინთეზი არ არსებობს, თქვენ ამ საქმის ყველაზე კარგ მცოდნეებს მიმართავთ და მათ სინთეზისთვის აუცილებელი ძირითადი ინფორმაციის მონოდებას სთხოვთ. ამ სანყის მონაცემებზე დაყრდნობით მიიღებთ გადანყვიტოებას იმის შესახებ, რომელი ინფორმაციაა ადეკვატური და რა სფეროებში დაგჭირდებათ დამატებითი მონაცემები.

ამავე დროს, თქვენ უნდა გადანყვიტოთ ისიც, თუ როგორი იქნება საბოლოო სინთეზის ფორმა და ფორმატი: იქნება ეს დაწერილი ნარატივი, ზეპირი პრეზენტაცია, სხვადასხვა სცენარი, ცხრილებისა და გრაფიკების ნაკრები, თუ დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, რაც საბოლოო დასკვნებამდე მიგიყვანთ. ამის შემდეგ დაიწყება სინთეზური აზროვნება. საჭიროა ახალი ინფორმაციის მოპოვება, მისი გადამონმება, შეფასება, სიახლეებისთვის თვალყურის დევნება ან მისი გვერდით გადადება. ახალი ინფორმაცია უნდა იყოს შეძლებისდაგვარად გამოსადეგი სანყის სინთეზისთვის. იქ, სადაც მისი გამ-

ოყენება ვერ მოხერხდება, ორმხრივი კორექტირება უნდა მოხდეს. დღის წესრიგში ამ საკითხებზე მუდმივი ფიქრია.

საბოლოო სინთეზის გამოვლენამდე გარკვეული პერიოდით ადრე უნდა მოხდეს პროტოსინთეზის განვითარება. საჭიროა, რომ ეს შუალედური ვერსია შემოწმდეს თანამშრომლების ყველაზე მცოდნე ნაწილის, საუკეთესო შემთხვევაში, კრიტიკულად განწყობილი კონსტრუქციული აუდიტორიის მიერ. არსებული დროიდან და რესურსებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, ერთზე მეტი ცდა თუ ჩატარდება. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, დადგება ქეშმარიტების მომენტი, როცა ყველაზე საუკეთესო შესაძლებელი სინთეზი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება.

რა ტიპის აზროვნებაა საჭირო სინთეზის მოსახდენად? ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ სინთეზირების ხელმძღვანელი რომელიმე სფეროს ექსპერტი უნდა იყოს, ის, სავარაუდოდ, ყველა შესაბამისი დისციპლინის სპეციალისტი ვერ იქნება. ამ საკითხის გამოსასწორებლად მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ცოდნა აუცილებელი დისციპლინების შესახებ, რათა შეძლოს გადანყვეტილების მიღება იმის თაობაზე, ვის და რას ენდოს. გარდა ამისა, მან უნდა აღმოაჩინოს ის ადამიანები, ვინც გადანყვეტილების მიღებაში დაეხმარება. სინთეზირების ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს სინთეზის შესაბამისი ფორმები და ფორმატი. საჭიროების შემთხვევაში, მზად უნდა იყოს შესაძლებელი ან რეკომენდებული ცვლილებებისთვის და ბოლო ვადის მოახლოებასთან ერთად, საბოლოო გადანყვეტილების მიღება უნდა შეძლოს.

სინთეზის ხელმძღვანელი მუდმივად უნდა ადევნებდეს თვალყურს ზოგად სურათს და, ამავე დროს, დარწმუნდეს, რომ შესაბამისი დეტალები მოპოვებული და სასარგებლო წყობითაა დალაგებული. მართალია, ეს საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა, მაგრამ სრულიად რეალურია ისეთი ადამიანების მოძებნა ვინც ე. წ. “პროჟექტორის მსგავსი ჭკუითაა” დაჯილდოებული. ასეთი გონება მათ საშუალებას აძლევს, ყველაფერს ფართოდ შეხედონ, დააკვირდნენ და დარწმუნდნენ, რომ ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაცია შეგროვებულია. მათ დამატებით ასევე შეუძლიათ “ლაზერის მსგავსი ჭკუის” მქონე ადამიანის ჩართვა, რადგან ის სრულად ფლობს ცოდნას რომელიმე კონკრეტული დისციპლინის შესახებ. საჭიროა მსგავსი ადამიანების

აღმოჩენა და შენარჩუნება. ძალიან მნიშვნელოვანია სინთეზირების შესაძლებლობების ფართო განვითარების განსაზღვრა, რადგან მას მომავალში უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება.

III. შემოქმედებითი აზროვნება

ჩვენს დროში თითქმის ყველა კარგად გააზრებული საქმიანობა ავტომატიზებული ხდება. არსებულ დისციპლინებში დაოსტატება საჭირო იქნება, მაგრამ არა - საკმარისი. შემოქმედებითი აზროვნება ახალ სამოქმედო არეალს ქმნის. ჩვენს საზოგადოებაში ახალი იდეებისა და პრაქტიკის შემომტანი ადამიანები დაფასებულნი არიან; ჩვენ განსაკუთრებული პატივით ვეპყრობით იმ იშვიათ ადამიანებს, ვისი ინოვაციებიც მათი კოლეგების მუშაობას სრულიად ცვლის. ჩემს სფეროში ამგვარ ადამიანებს “დიდ შემოქმედებს” ვუწოდებთ.

როგორც შემოქმედ მოსწავლეს, დიდი ხნის განმავლობაში მეგონა, რომ რაიმეს შექმნა, უპირველეს ყოვლისა, კოგნიტიური უნარი, წინასწარ მიღებული ცოდნისა და შესაბამისი შემეცნებითი პროცესის შედეგი იყო. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ პიროვნული თვისებები და ხასიათი თანაბრად და, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი მნიშვნელოვანი შემოქმედ პიროვნებად ჩამოყალიბების მსურველთათვის. შემოქმედს ძალიან უნდა უნდოდეს სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენება, უცნობ სფეროებში ბედის ცდა, წარუმატებლობის დაშვება, შემდეგ ღიმილით ადგომა და იმავე ბრძოლაში კიდევ ერთხელ თავიდან ჩაბმა. წარმატების შემთხვევაშიც კი შემოქმედი არ ტკბება მოპოვებული დიდებით. ის მზადაა, ხელახლა შეაბიჯოს უცნობ სფეროებში და დამარცხების რისკზე წავიდეს, ამოვიდეს ზედაპირზე იმის იმედით, რომ შესაძლოა, ჰორიზონტზე ახალი წარმატებები გამოჩნდეს.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დამოკიდებულება აქამდე წარმოდგენილ აზროვნების სამ ტიპს შორის. ნათელია, რომ სინთეზირება მისი შემადგენელი დისციპლინების კარგი ცოდნის გარეშე შეუძლებელია. შესაძლოა, ცალკე გამოიკვეთოს სინთეზირების დისციპლინაც კი, რომელიც განცალკევებული იქნება ისეთი დისციპლინებისგან როგორებიცაა მათემატიკა, პანტომიმა ან მენეჯმენტი. ჩემი აზრით, მსგავსი რამის ჩამოყალიბება ნაკლებ სავარაუდოა დისციპლინაში დახელოვნებისა და სინთეზირების შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში.

IV. პატივისცემის გამოხატველი აზროვნება

ბავშვები პატარაობიდანვე ყურადღებით ეპყრობიან სხვა ადამიანებს. კავშირი მშობლებსა (ჩვეულებრივ, დედას) და ბავშვებს შორის უმეტესად ცხოვრების პირველ თვეებში ყალიბდება. ამ კავშირის ბუნება და სიძლიერე განსაზღვრავს სხვა ადამიანებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობების ბევრ სხვადასხვა ასპექტს მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე.

მოზრდილი ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფებისგან განსხვავებით, პატარებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ჩვენ შესაბამისად ვართ აღჭურვილი იმისთვის, რომ ინდივიდსა და ინდივიდთა ჯგუფებს შორის განსხვავებები მარტივად დავადგინოთ. რა თქმა უნდა, ჩვენი გადარჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევძლებთ გავარჩიოთ ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარებიან და საზრდოს მოგვანვდიან იმათგან, ვინც შეიძლება ზიანი მოგვაყენოს. მაგრამ ჩვენს კონკრეტულ გარემოში არსებული ინფორმაციული გზავნილები განსაზღვრავს, რომელ კატეგორიაში მოვაქცევთ კონკრეტულ ინდივიდსა თუ ჯგუფს. ჩვენი საკუთარი გამოცდილება, მეგობრებისა და ახლობელი უფროსების მიერ გამომყვანებული დამოკიდებულება განაპირობებს ჩვენს დამოკიდებულებას ინდივიდებთან და ინდივიდების ჯგუფებთან, კერძოდ, მოგვწონს, მონივნებით ვუყურებთ, პატივს ვცემთ გარკვეულ ადამიანებს და ჯგუფებს, თუ, პირიქით, ვუფრთხით, გვეშინია მათი ან გვძულს ისინი.

ჩვენს დროში თითქმის ყველა ცალკეული ინდივიდი, სავარაუდოდ, პირადად ხვდება ათასობით ადამიანს. მილიარდობით ადამიანს აქვს შესაძლებლობა, საზღვარგარეთ იმოგზაუროს, ან დაშორებული კულტურების წარმომადგენლებს ვიზუალური ან ციფრული მედიის საშუალებით დაუკავშირდეს. თანამედროვე ადამიანი მიესალმება და პატივისცემით ეპყრობა სხვადასხვა ადამიანთან და ადამიანთა ჯგუფებთან შეხვედრის ამგვარ შესაძლებლობას. ჭეშმარიტი კოსმოპოლიტები სხვებს დაეჭვების საშუალებას აძლევენ, თავიდანვე გამოხატავენ ნდობას, ცდილობენ, ახალი კავშირები დაამყარონ და წინასწარ ჩამოყალიბებულ განწყობებს თავი აარიდონ.

პატივისცემით მოპყრობას საფრთხეს უქმნის არატოლერანტული და წინასწარ განსაზღვრული დამოკიდებულება, რაც ყველაზე ცუდ შემთხვევაში ინდივიდუალურ, სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიღმა არსებულ ტერორიზმად ყალიბდება. წინასწარი განწყობის მქონე ადა-

მიანს ჩამოყალიბებული აქვს იდეები ადამიანებისა და სხვადასხვა ჯგუფის შესახებ და ამ განწყობის დანგრევას ეწინააღმდეგება. არატოლერანტ ადამიანს მისთვის უცნობი მოვლენების მიმართ ძალიან დაბალი საწყისი შეფასების ნერტილი აქვს დანესებული. მისი სავალდებულო ვარაუდი ეფუძნება მტკიცებას: “უცნაური არის ცუდი”. არ არის ადვილი, პატივი სცე იმ ადამიანებს, ვისიც გეშინოდა, ვისაც არ ენდობოდი ან არ მოგწონდა. თუმცა, ერთმანეთთან დაკავშირებულ სამყაროში, ზრდის ამგვარი პოტენციალი ახლად დამყარებული ან განახლებული პატივისცემისთვის გადამწყვეტია.

V. ეთიკური აზროვნება

ეთიკური პოზიცია არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდება პატივისცემის გამომხატველ აზროვნებას, თუმცა, ადამიანებისა და მათი ჯგუფების მიმართ გაცილებით უფრო დახვეწილ მიდგომას ითვალისწინებს. ეთიკური აზროვნების მქონე ადამიანს შეუძლია, საკუთარ თავზე აბსტრაქტულად იფიქროს. მას შეუძლია დასვას კითხვები: “როგორი ადამიანი მინდა ვიყო? როგორი მუშაკი მინდა ვიყო? როგორი მოქალაქე მინდა ვიყო?”

ამგვარი კითხვების დასმის მიღმა ადამიანს შეუძლია, საკუთარი თავის შესახებ უნივერსალურად იფიქროს: “როგორი იქნებოდა სამყარო, ყველა ადამიანი ისე რომ მოქცეულიყო, როგორც მე ვიქცევი? ჩემი პროფესიის ყველა ადამიანს საკითხებისადმი რომ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონოდა, როგორიც მე მაქვს? ჩემს რეგიონში ან სამყაროში მცხოვრები ყველა ადამიანი ისევე რომ ასრულებდეს თავის როლს, როგორც ამას მე ვაკეთებ?” ამგვარი კონცეპტუალიზაცია მოითხოვს ყველა როლთან დაკავშირებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების აღიარებას. რაც მთავარია, ეთიკური ადამიანი მის მიერ ჩამოყალიბებული პასუხების შესაბამისად იქცევა მაშინაც კი, თუ ამგვარი ქცევა მის საკუთარ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩემი საკუთარი წარმოდგენა ეთიკური აზროვნების შესახებ ათწლეულების განმავლობაში იმ პროფესიონალების გამოცდილების შესწავლას ემყარება, რომლებიც ცდილობდნენ, საქმე ბრწყინვალედ, საინტერესოდ და ეთიკურად შეესრულებინათ (იხ. <http://www.good-workproject.org>). ეთიკური ქცევის განსაზღვრა ყოველთვის ადვილი არ არის და შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული გამოწვევაც კი აღმოჩნდეს იმ დროში, რომელიც, ჩვენი დროის მსგავსად, საკმაოდ სწრაფად ცვლის პირობებს და ძლიერი და მკაცრი საბაზრო მოთხოვნებით ხა-

სიათდება. მაშინაც კი, როცა ადამიანს უკვე აქვს განსაზღვრული სწორი მიმართულება, ყოველთვის ადვილი არაა ეთიკურად მოქცევა. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებს ეხება, როცა ადამიანს დიდი ამბიციები აქვს, სხვები კი არასწორი მეთოდებით მოქმედებას ცდილობენ; სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები თანამშრომლებისგან ერთმანეთის გამომრიცხავ ქმედებას ითხოვენ, ეთიკური კურსი ბოლომდე მკაფიოდ ჩამოყალიბებული არაა და ადამიანის უშუალო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გაცილებით უფრო ადვილი და ბუნებრივიცაა, ეთიკური აზროვნება ადამიანის ეთიკურ გარემოში ცხოვრების პირობებში განვავითაროთ. თუმცა, მხოლოდ ამგვარი გარემო არც აუცილებლობას წარმოადგენს და არც საკმარისია. გადამწყვეტი წვლილი ამ საქმეში ადამიანის სამუშაო ადგილზე არსებულ ატმოსფეროს შეაქვს: როგორ იქცევიან ძალაუფლების მქონე ზრდასრული ადამიანები; რისი რწმენა აქვთ და როგორი ქცევა ახასიათებთ კოლეგებს; და, ალბათ, რაც მთავარია, რა ხდება მკაფიოდ გამოხატული ეთიკური გადაცდომების და, სამწუხაროდ, უფრო იშვიათ შემთხვევებში, ინდივიდის ან ჯგუფის ეთიკური თვალსაზრისით სამაგალითო ქცევის დროს? მართალია, ადამიანის ეთიკის სფეროში განათლება შეიძლება ისევე ადრე არ დაიწყო, როგორც ეს პატივისცემის შემთხვევაში ხდება, მაგრამ დასასრული არასდროს არც ერთ “კურიკულუმს” არ გააჩნია.

თუ ეთიკური აზროვნებისთვის აუცილებელ მაღალ სტანდარტებს გავითვალისწინებთ, წარუმატებელი მაგალითების სიუხვე უცნაურად აღარ მოგვეჩვენება. არ არის ძნელი ქურდობის ან გაყალბების მსგავსი მკვეთრად გამოხატული კანონდარღვევის ან ცხადად არაეთიკური ქცევის ამოცნობა. მაგალითად, ჟურნალისტი, რომელიც ისეთ ამბავს აქვეყნებს, რომელიც იცის, რომ სიმართლეს არ შეესაბამება; გენეტიკის სპეციალისტი, რომელიც მისი ჰიპოთეზის სანინააღმდეგო მონაცემებს უგულვებლყოფს და ა. შ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეთიკურმა გონებამ უნდა გაიაზროს და დაადგინოს, როგორი ინდივიდი სურს, რომ იყოს. როდესაც ადამიანის სიტყვები ან ქმედებები ამ იდეალურ ვარიანტს ეწინააღმდეგება, მან მდგომარეობის გამოსასწორებელ ქმედებებს უნდა მიმართოს. აქვე დავამატებდი, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მხოლოდ საკუთარი ეთიკური პრინციპების ერთგულება საკმარისი აღარაა. ადამიანის პასუხისმგებლობა ფართოვდება იმ სფეროში, რომელსაც მიეკუთვნება. მაგალითად, ცალკეული ჟურნალისტი ან გენეტიკოსი შეიძლება ეთიკურად მოქმედებდეს, მაგრამ თუ მისი კოლეგები ასე არ იქცევიან, ასაკით უფროსმა თანამშ-

რომელმაც სფეროს სიჯანსაღის შენარჩუნებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს. ასეთ ადამიანებს მე “ნდობით აღჭურვილ პირებს” ვუწოდებ. ეს ის ვეტერანები არიან, რომლებსაც ბევრი ადამიანი სცემს პატივს, მათი ინტერესი კარიერის მიმართ სულ უფრო მცირდება და ისინი სფეროს სიჯანსაღის ერთგულები რჩებიან. როგორც ერთხელ ფრანგმა დრამატურგმა ჟან-ბაპტისტ მოლიერმა (Jean-Baptiste Molière) აღნიშნა: “ჩვენ პასუხისმგებელი ვართ არამარტო იმაზე, რასაც ვაკეთებთ, არამედ იმაზეც, რასაც არ ვაკეთებთ.”

VI. დაძაბულობა აზროვნების ტიპებს შორის

აზროვნების ხუთი ტიპიდან შესაძლოა ადამიანებს პატივისცემის გამომხატველი და ეთიკური აზროვნების ტიპები ერთმანეთში აერიოს. ნაწილობრივ ეს, როგორც წესი, ენის პრობლემასთანაა დაკავშირებული. პატივისცემის გამომხატველი და ეთიკური აზროვნების ტიპებს, ჩვენ ღირსებად მივიჩნევთ და ვვარაუდობთ, რომ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მათგანი. მეტიც, ძალიან ხშირად ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ეთიკური ადამიანები პატივისცემით ეპყრობიან გარშემომყოფებს და პირიქით.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ორ კატეგორიას განვითარების თვალსაზრისით ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვიხილავ. შესაძლოა, ადამიანს პატივისცემის გრძნობა მისი მიზეზების ღრმა გააზრების არქონის მიუხედავად, ბავშვობიდანვე ჰქონდეს ჩამოყალიბებული. ამის საპირისპიროდ, ეთიკის კონცეფცია და ეთიკური ქცევა წინასწარ გულისხმობს აბსტრაქტულ და მორიდებულ დამოკიდებულებას, ყოველდღიური ცხოვრების დეტალებისგან დისტანცირებას და საკუთარ თავზე - როგორც მუშაკზე ან მოქალაქეზე - ფიქრის შესაძლებლობას.

ამის კარგ მაგალითს „განგაშის ამტყეხები“ წარმოადგენენ. კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის დონეზე მომხდარ არასწორ ქმედებებს ბევრი ადამიანი ხედავს, მაგრამ ამის შესახებ ხმას არ იღებს. შესაძლოა, მათ სამსახურის შენარჩუნება უნდოდეთ, მაგრამ, ამავე დროს, ასეთ ადამიანებს სურთ, პატივი სცენ საკუთარ უფროსებს. ძალიან დიდი სიმამაცე და გონებრივი დისტანცირება სჭირდება იმის მოხერხებას, რომ შენს თავზე იფიქრო როგორც არა რომელიმე ზედამხედველის ნაცნობზე, არამედ, როგორც გარკვეული ვალდებულებების მქონე ინსტიტუციის ან პროფესიის წარმომადგენელზე. „განგაშის ამტყეხი“ ეთიკურ პოზიციას თავისი ზემდგომების მიმართ

პატივისცემაზე უარის თქმის ხარჯზე იკავებს.

ხანდახან შეიძლება პატივისცემამ ეთიკა გადანონოს. თავიდან ვფიქრობდი, რომ საფრანგეთის მთავრობა სწორად იქცეოდა, როცა მუსულმან ქალებს სკოლაში თავსაფრის ტარება აუკრძალა. იმავე პრინციპის გამო ვიცავდი დანიური გაზეთის უფლებასაც, ისლამური ფუნდამენტალიზმის დასაცინი ნახატი გამოექვეყნებინა. ორივე შემთხვევაში, ჩემთვის ამოსავალი ამერიკული უფლებების კანონი — გამოხატვის თავისუფლების გარანტია იყო და არა სახელმწიფო რელიგია. თუმცა, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ეთიკური პოზიცია სხვათა გულწრფელი და ძლიერი რელიგიური მრწამსის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების ქრილში უნდა განგვეხილა. ისლამური წეს-ჩვეულებების პატივისცემა, აბსტრაქტული პრინციპის პატივისცემასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისა ჩანს. ამით, რა თქმა უნდა, არ ვცდილობ იმის დამტკიცებას, რომ სწორი გადანყვეტილება მივიღე. მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ პატივისცემასა და ეთიკას შორის არსებული დაძაბულობა შეიძლება სხვადასხვაგვარად გადანყდეს.

VII. დასკვნა

აზროვნების ტიპებს შორის არ არსებობს მკაცრი იერარქია, რომელიც შეძლებდა იმის განსაზღვრას, რომ რომელიმე ტიპი მეორეზე უფრო ადრე უნდა განვითარდეს. თუმცა, არსებობს გარკვეული რიტმი. ლოგიკური სინთეზის წამოწყებამდე ადამიანს სჭირდება შესაბამისი დისციპლინა (ამ ტერმინის ორივე მნიშვნელობით). თუ სინთეზი ერთზე მეტ დისციპლინას მოიცავს, მაშინ საჭირო იქნება ყველა ცალკეული შემადგენელი დისციპლინის განვითარება. ამავე პრინციპით, ნებისმიერი ჭეშმარიტად შემოქმედებითი აქტივობა დისციპლინაში გარკვეულ დაოსტატებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მამაცობა სინთეზირების პროცესში საჭირო არ აღმოჩნდეს, თითქმის ყველა შემოქმედებითი გარღვევა ხელოვნების, პოლიტიკის, მეცნიერების თუ კორპორაციულ სფეროში, გარკვეულწილად, წინასწარ სინთეზზეა დამოკიდებული. და მაინც, ზედმეტი დისციპლინა ხელს უშლის კრეატიულობას. ნაკლებ სავარაუდოა, რომ სინთეზის მოხდენისას წარმატებულმა ადამიანებმა რადიკალურად კრეატიულ გარღვევებზე გავლენის მოხდენა შეძლონ.

სასურველია, რომ მომავალში ყველას ჰქონდეს მიღწევები აზროვნების ხუთივე ტიპის სხვადასხვა ასპექტში. ამგვარი პირადი ინ-

ტივრაცია, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად მაშინ გამოვლინდება, თუ ინდივიდი იმ გარემოში გაიზრდება, სადაც აზროვნების ხუთივე ტიპი ნარმოდგენილი და დაფასებული. კიდევ უფრო უკეთესი იქნება ისეთი მისაბაძი მაგალითების არსებობა, როგორებიც არიან მშობლები, მასწავლებლები, ოსტატები, აღმზრდელები, რომლებიც რეგულარულად ახდენენ დისციპლინის, სინთეზის, შემოქმედების, პატივისცემისა და ეთიკის ასპექტების დემონსტრირებას. ამგვარი აზროვნების ტიპების გაერთიანების პარალელურად, სკოლაში ან სამსახურში მყოფ საუკეთესო პედაგოგებს შეუძლიათ იმ მხარდაჭერისა და კონსულტაციების განევა, რომლებიც დისციპლინის დანერგვას დაეხმარება, ხელს შეუწყობს სინთეზის განხორციელებას, წააქეზებს კრეატიულობას, მხარს დაუჭერს პატივისცემასა და ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბებას.

შეუძლებელია აზროვნების ხუთი ტიპის იძულებით განვითარება და ინტიგრირება. ცალკეულმა ადამიანებმა უნდა გაიაზრონ, რომ მნიშვნელოვანია აზროვნება. ისინი უნდა მიხვდნენ დროისა და რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციის ღირსებას და გარე დახმარების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი - მათი მხარდაჭერის გაგრძელების აუცილებლობას. ადამიანი სამსახურში, საყვარელი საქმის კეთებისას, სახლში, თემსა და უფრო ფართო გარემოში უნდა დაფიქრდეს აზროვნების ყველა ტიპის როლზე. მან უნდა იცოდეს, რომ ხანდახან აზროვნების ეს ტიპები ერთმანეთს დაუპირისპირდება და მდგომარეობიდან ნებისმიერი გამოსავალი რაიმე დათმობის ხარჯზე მოხდება. მომავალში, სავარაუდოდ, ყველაზე უფრო დაფასებული აზროვნების ფორმა სწორედ სინთეზირების შემძლე აზროვნება იქნება. ამ იდეას კარგად ეხმაურება ისიც, რომ ამ აზროვნებების ტიპების ერთ ინდივიდში გაერთიანება პირადი სინთეზის ძირითად გამოწვევას ნარმოადგენს.

ავტორი: ჰოვარდ გარდნერი

განათლების უმაღლესი სკოლა, ჰარვარდის უნივერსიტეტი

წყარო: სკოლები: განათლების სფეროს კვლევები, ტომი №5, №1/2 (2008 წლის გაზაფხული/შემოდგომა), გვ. 17-24.

გამოქვეყნდა: University of Chicago Press-is mier Francis W. Parker School-Tan TanamSromlobiT

URL: <http://www.jstor.org/stable/10.1086/591814>

ნანახია: 21/07/2012 15:48

იდეის წარმომშობი ძალისა (შემოქმედებითობა) და გონივრულობის (კრიტიკული აზროვნება) ერთმანეთისგან გაცალკეება მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება მოხდეს. აზროვნების პროცესში ისინი ერთიანია.

*რიჩარდ პოლი
კრიტიკული აზროვნების ცენტრი*

*ლინდა ელდერი
კრიტიკული აზროვნების ფონდი*

როგორც ადამიანმა, რომელიც მომავლის საკითხების განხილვას მთელ მსოფლიოში შესწრებია, შემიძლია დავადასტურო, რომ განათლების ძალის (კარგია ეს თუ ცუდი) რწმენა საყოველთაოდ გავრცელებული ფენომენია. ჩვენ განათლებას უბრალოდ იმ სანარმოდ მივიჩნევთ, რომელმაც მომავლის აზროვნება უნდა ჩამოაყალიბოს.

*ჰოვარდ გარდნერი
განათლების უმაღლესი სკოლა,
ჰარვარდის უნივერსიტეტი*